www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
პარასკევი, 15 აგვისტო, 2003 წელი. №220 (432)
ფასი 30 თეთრი
© გაზეთი 24 საათი

## ფინანსები და კვოტები - მთავარი საზრუნავი

ლელა მჭედლიძე

სახელისუფლებო ბლოკი საგანგებო რეჟიმზეა გადართული. თითქმის ყოველდღიურ შიდაბლოკურ შეკრებებს, სახელმწიფო მინისტრის მიერ "მოქალაქეთა კავშირის" რეგიონული ორგანიზაციების საბრძოლო მზადყოფნის ინსპექტირებაც ერთვის.

ბორჯომის და კახეთის ორგანიზაციების შემდეგ, გუშინ ჯერი თბილისის და რაჭა-ლეჩხუმის ორგანიზაციებზეც მიდგა. როგორც ირკვევა, ძირითადი უკმაყოფილების მიზეზი ჯორბენაძისთვის მაინც იმერეთის ორგანიზაციაა, უფრო ზუსტად - იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი. მას პარტიის რეგიონული ორგანიზაციის სადავეებს უკვე აღარ ანდობენ. სახელმწიფო მინისტრი "მოქალაქეების" შტაბის უფროსის პოსტს ლამის ოფიციალურად აცხადებს ვაკანტურად.

თბილისისი ორგანიზაციის შეკრებაზე სხდომის მონაწილეებს სხვადასხვა მოთხოვნები ჰქონდათ. "კმარას" აქტივისტებისათვის საკადრისი პასუხის გაცემით დაწყებული, ხელნაწერთა მუზეუმისათვის 50 ათასი ლარის გამოძებნით დამთავრებული. რეზო ამაშუკელი, "ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე", მასმედიაზე კონტროლის დაწესებას ითხოვდა. დამოუკიდებელი მასმედია ამაშუკელისგან დაიცვა სახელმწიფო მინისტრმა: დამოუკიდებელი პრესა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია და თავი გაანებეთო.

არაოფიციალური ინფორმაციით, სახელისუფლებო ბლოკის საღამოს შეკრებაზე ხმამაღალი საუბარი უკვე კვოტების გადანაწილებაზე იყო. ჯორბენაძე აცხადებს, რომ ადგილების გადანაწილების თვალსაზრისით, გაერთიანებაში არანაირი პრობლემა არ არსებობს. პირიქით, ეს უფრო ოპოზიციის სურვილი, მის მიერ დაყრილი ხმებია და რადგან გაერთიანება თავად ვერ მოახერხა, ახლა იგივეს სახელისუფლებო ბლოკს აბრალებს.

"მოქალაქეთ კავშირის" თბილისის ორგნიზაციის თავმჯდომარემ ზეზვა ლუღუნიშვილმა გუშინ განაცხადა, რომ ოთხშაბათს პრეზიდენტმა, კვოტების გადანაწილებასთან დაკავშირებით, ბლოკის ლიდერებისაგან წამოსული ინიციატივა უარყო და პოზიციების შეჯერება მოითხოვა. სახელმწიფო მინისტრი დარწმუნებულია, რომ ბლოკის თითოეულ სუბიექტს ადგილები სამართლიანად გადაუნაწილდება. ერთადერთი პრობლემა, რასაც სახელისუფლებო ბლოკი უჩივის, ფინანსების სიმწირეა. ჯორბენაძე დარწმუნებულია, რომ ბლოკს ფინანსებით პრეზიდენტი შევარდნაძე შეეწევა. გარდა ამისა, ქისებს გახსნიან თავად სუბიექტების ლიდერებიც. სახელმწიფო მინისტრი ფინანსების სუფთად მოპოვების მომხრეა - არ გვსურს ვინმეს წინაშე დავალიანებული ვიყოთო. ამ განცხადებისას სახელმწიფო მინისტრმა კენჭები კვლავ ოპოზიციის ბოსტანში ისროლა, წინა არჩევნების დროს, ახლანდელი ოპოზიცია ფულს მხოლოდ გარიგებებით შოულობდაო.

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | |
| ქუთაისი | 25 | |
| ბათუმი | 23 | |
| სამტრედია | 25 | |
| სოხუმი | 25 | |
| ფოთი | 24 | |
| თელავი | 27 | |
| ზუგდიდი | 26 | |
| გორი | 23 | |
| ახმეტა | 26 | |
| ქიათურა | 25 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.3902 |
| გირვანქა სტერლ | 3.4011 |
| რუბლი | 0.0696 |

# ძველი ცესკო - ახალი საარჩევნო კოდექსის გვირგვინი

თამარ ხორბალაძე

პარლამენტართა იმედი, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში "შეთანხმებულ" და რამდენიმე დღის განმავლობაში სესიაზე მუხლობრივად განხილულ საარჩევნო კოდექსს სწრაფად "გადაივლიდნენ", დილის სხდომაზევე დაამტკიცებდნენ და მერე საბიუჯეტო სეკვესტრსაც მიხედავდნენ, გუშინ ისევ არ გამართლდა. ამ საქმეს ვერც ზაქარია ქუცნაშვილის და ვახტანგ ხმალაძის ღამის თევამ უშველა (ისინი შეთანხმებულ ვარიანტს ღამის ხუთ საათამდე უწევდნენ ტექრედაქტირებას).

მიუხედავად ასეთი თავდადებისა, გუშინ საარჩევნო კოდექსის მეორე მოსმენით კენჭისყრა, სხვადასხვა ალტერნატიული წინადადების გზადაგზა "გაჩენის" წყალობით, ისე უსასრულოდ გაგრძელდა, ტრიბუნასთან მდგომმა ვახტანგ ხმალაძემ "ადამიანურად სთხოვა" პარლამენტარებს - ღმერთი არა გწამთ, ამდენი დღის განმავლობაში ტრიბუნასთან ფეხზე ვდგავარ და როდემდე შეიძლება გაგრძელდესო ასე?!

პარლამენტართა "საამაყოდ" უნდა ითქვას, რომ მათ კოდექსის "ზედკრული" ავტორის "ადამიანურ თხოვნაზე" მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესები დააყენეს და საღამომდე ახალ-ახალი ინიციატივები "აცხვეს" და "აცხვეს".

საბოლოო ჯამში, პარლამენტმა ამომრჩეველთა მარკირების წესი დაამტკიცა იმ რეგიონებისთვის, სადაც ერთზე მეტი საარჩევნო უბანია. პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება ამომრჩევლის მოსყიდვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ, რადგან ოპოზიციამ ამაში ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის დაწყების მუქარა დაინახა. მათი მტკიცებით, ნებისმიერი ერთი ადამიანის ჩვენება შესაძლოა გამხდარიყო ასეთი დევნის დაწყების საფუძველი

გაგრძელება A3 გვერდზე

# 11 წელი და ერთი თვე გამოსაცდელად

აფხაზეთის მეომართა კავშირს იერიში ხელისუფლებაზე მიაქვს

ვერიკო თევზაძე

*"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ეს ხელისუფლება ჩამოვაშოროთ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს!" – აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყებიდან მე-11 წლისთავზე აფხაზეთის მეომართა კავშირს იერიში უკვე საკუთარ ხელისუფლებაზე მიაქვს.*

**"აფხაზეთთან მიმართებაში კრემლი და შევარდნაძე ერთად მოქმედებენ"; "ხელისუფლებამ ფეხქვეშ გათელა ჩვენი პიროვნული და ეროვნული ღირსებები"; "აფხაზეთის უზენაესი საბჭო იმის ათ პროცენტსაც არ აკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია",** - გუშინ გამართული პრესკონფერენციის ორგანიზატორთა

გაგრძელება A3 გვერდზე


*"ხელისუფლებამ ფეხქვეშ გათელა ჩვენი პიროვნული და ეროვნული ღირსებები", – ამბობენ მეომრები.*

# რა ელის პროკურორს, რომელიც პოლიტიკურ შეკვეთას არ ასრულებს

ინგა ალავიძე

*24 მარტს, გამთენიისას, ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტი, რომელიც უმაღლესმა ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად გამოაცხადა, გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილისთვის სამსახურიდან წასვლის საფუძველი გახდა. უფრო ზუსტად, თავიდანვე პოლიტიკურ ნოტებზე აწყობილი საქმე პროკურატურის სტაჟიანი გამომძიებლის კარიერასაც შეეხო.*

მას შემდეგ, რაც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა, რომელიც ამბოხების საქმეს იძიებდა და რომელსაც პროკურორი ელდარ თოფჩიევი ხელმძღვანელობდა, ისნის ამბოხების საქმეზე დაკავებულ 19 გვარდიელს ბრალდებები შეუმსუბუქა, პროკურატურა პრეზიდენტის რისხვის ობიექტი გახდა.

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გენერალურ პროკურორს მკაცრი შენიშვნა მისცა იმის გამო, რომ დაპატიმრებული ვეტერანი გვარდიელები სამაგალითოდ არ დაისაჯნენ. საქმე ისაა, რომ გენერალურმა პროკურატურამ დაკავებულებს ამბოხების ბრალდება მოუხსნა. იმავე მთავრობის სხდომაზე უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია გენერალურ პროკურატურას დაუპირისპირდა და პროკურატურა ამბოხებულების ადვოკატობაში დაადანაშაულა.

პრეზიდენტის სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ისნის ამბოხების საქმის საგამოძიებო ჯგუფის უფროსს ელდარ თოფჩიევს პოლიტიკურ ცხრილში "გატარებული" გენერალური პროკურორის პოლიტიკური ბრძანება მიეღო.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ჯგუფის უფროსს პრეზიდენტის მითითება სისრულეში უნდა მოეყვანა - დაკავებული გვარდიელებისთვის ბრალდებები უნდა დაემძიმებინა. არსებული მონაცემით, ელდარ თოფჩიევმა გენპროკურორს მისი არგუმენტები მოახსენა, რომლის მიხედვითაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქმეში მტკიცებულებები არ არსებობდა, დაკავებულთათვის ბრალდებების დამძიმება ვერ მოხერხდებოდა. საბოლოოდ, პოლიტიკური შეკვეთის შესრულებაზე უარის მთქმელი პროკურორი იძულებული გახდა, სამსახურს დამშვიდობებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ჩუბაისი საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლას შეეცდება"

*რუსეთის პარლამენტის ექს-სპიკერი რუსლან ხასბულატოვი ძველებურად მოსკოვის ცენტრში, ლეონიდ ბრეჟნევის გამონაცვალ ბინაში ცხოვრობს. "რაც ასაკში შევდივარ, კავკასია მენატრება..." - ამბობს იგი და ფრაზას ტელეფონის ზარი აწყვეტინებს. ხასბულატოვს ურეკავს ზბიგნევ ბჟეზინსკი. საუბრობენ ჩეჩნეთში პრეზიდენტის არჩევნებზე, ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ბჟეზინსკის აინტერესებს, მართლია თუ არა, რომ ხასბულატოვს ჩეჩნეთის პრეზიდენტობის კანდიდატობაზე კვირას განცხადება შეაქვს? ხასბულატოვი: "ზბიგნევ, ძვირფასო, ახლა ჩვენ მთელი მსოფლიო გვისმენს, მოდი მე შენ გროზნოდან დაგირეკავ და ყველაფერს მოგიყვები, კარგი?" "რებუსებით" მცირე ხნით საუბრის შემდეგ, ხასბულატოვი ისევ უბრუნდება ინტერვიუს...*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- რატომ გადაწყვიტეთ ჩეჩნეთის პრეზიდენტობა?**

- აი, ნახეთ, 17 ათასი წერილი მივიღე ჩეჩნეთიდან, თავისი ხელმოწერებით, სადაც ჩემი ხალხი მაიძულებს, ასეთი ნაბიჯი გადავდგა.

**- ახმედ კადიროვის კონკურენციის არ გეშინიათ?**

- იყო ჩემთან კადიროვი მოსული. გამანდო, რომ პუტინს მისი გაპრეზიდენტება აქვს გადაწყვეტილი. შენ ომამდე ვინ იყავი-მეთქი, ვკითხე. მოლაო. ჰოდა, ახლაც წადი და მოლა გახდი, თორემ შერცხვები-მეთქი.

**- თქვენ არ გაგიჭირდებათ? კადიროვს მოსკოვის მხარდაჭერა მაინც აქვს. დავუშვათ და გახდით ჩეჩნეთის პრეზიდენტი, როგორ აპირებთ, მაგალითად, ომის შეჩერებას?**

- მხოლოდ პოლიტიკური მეთოდით. კრემლი ტყუის, როცა ჩეჩნეთში მშვიდობიან პროცესს აცხადებს და იმავდროულად იქ დღეს 150 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერია, 10 ათასამდე

გაგრძელება A3 გვერდზე


*ხასბულატოვს კავკასია ენატრება.*

# ბურჯანაძე მხარდამჭერებს იკრებს და იწვევს

*პარლამენტის საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ გუშინ ოფიციალურად განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის გუნდში გადასვლის შესახებ. რამ გადააწყვეტინა, ადრე თითქოს სახელისუფლებო ორიენტაციის მქონე სალარიძეს, ბურჯანაძის მხარდამჭერებში გადასვლა?*

ლელა მჭედლიძე

**"რამდენიმე დღის წინ ბურჯანაძის მიერ გამოქვეყნებულმა პრინციპებმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ქალბატონ ნინოს აქვს ხედვა საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე და აქცენტს იგი პროფესიონალებზე აკეთებს. გარადა ამისა, იგი ქალია და ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ პოლიტიკაში რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს, ამ დაქსაქსული პარტიების გასაერთიანებლად",** - ასეთი იყო სალარიძის მიერ შეკრებაზე წარმოთქმული განმარტება. მოგვიანებით მან, ჟურნალისტებთან საუბარში, არგუმენტები კიდევ უფრო დააკონკრეტა: **"ნინო ბურჯანაძემ, უკანასკნელ ხანს, ხალხის დიდი ნდობა და რეიტინგი მოიპოვა, მე კი გადავწყვიტე ბურჯანაძეს თავისი შესაძლებლობების რეალიზებაში დავეხმარო".**

გაერთიანების პრეზენტაცია პომპეზურობით არ გამოირჩეოდა. დავით სალარიძემ მიკროფონი და ტრიბუნა სულ რამდენიმე პიროვნებას დაუთმო, რომელთა შორის სახალხო არტისტი ჯუმბერ ბერაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის - "გარეუბანი დედაქალაქის სახეა" - წარმომადგენელი ნანა ბაღაშვილი და რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი მიხეილ ქურდიანი იყვნენ. პარლამენტის თავმჯდომარისადმი საკუთარი სიმპათია არავის დაუმალავს. რა თქმა უნდა, არც მოძრაობის ხელმძღვანელ დავით სალარიძისადმი. **"ჩვენ ქუჩაში ყვირილს ვერ დავიწყებთ, მაგრამ მხარს აუცილებლად დაგიჭერთ, რადგან ბურჯანაძე ერთადერთი პოლიტიკოსია, ვინც საზოგადოებას არ აღიზიანებს. მას ქალური შემწყნარებლობა, კაცური გონიერება და რკინის ნერვები აქვს.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ენერგეტიკის ახალი მინისტრი დისერტაციაზე მუშაობს

გიორგი გახელაძე

საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრობის ერთდღიანმა კანდიდატმა მამუკა ნიკოლაიშვილმა გუშინ აღნიშნა, რომ პარლამენტში საკომიტეტო მოსმენის შემდეგ ფრაქციებთან შეხვედრებს გამართავდა: **"ჩემი კანდიდატურის განხილვისთვის მზად ვარ. ვნახოთ, რა იქნება".** მაგრამ, არც ეს შეხვედრები გამართულა და არც საპრეზიდენტო ძალები შემცდარან, რომ ნიკოლაიშვილის დანიშვნა პრობლემა არ იქნებოდა, ვინაიდან 79 ხმის შეგროვება არ გაჭირდებოდა. ოპოზიციურ პარტიებს ახალი მინისტრისათვის ხმა არ მიუციათ. **"პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეეძლო ამ პოსტზე მისი შვილის პაატა შევარდნაძის კანდიდატურა წარმოედგინა, რომელიც მამუკა ნიკოლაიშვილის მეგობარია",** - განაცხადა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა ხუთშაბათს გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, **"საქართველო არც ერთი ოჯახის კერძო საკუთრება არ არის".**

**„ჩვენ კონკრეტული პრეტენზიები გვაქვს თავად პრეზიდენტის მიმართ, ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, სათბობენერგეტიკის პოსტს მისი გუნდის რომელი წევრი დაიკავებს, ის მაინც შევარდნაძის ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი იქნება",** – განაცხადა "დემოკრატმა" გიორგი ბარამიძემ. მისივე თქმით, სათბობ-ენერგეტიკის უკვე ყოფილმა მინისტრმა „პირნათლად შეასრულა" შევარდნაძის ყველა დავალება და **"რუსეთს საქართველოს ეკონომიკის კონტროლისა და ზემოქმედების ბერკეტები უბოძა".**

მამუკა ნიკოლაიშვილი 2002 აპრილიდან გუშინდლამდე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო და კურირებდა ენერგეტიკის სფეროს. მან იუნესკოს ჰიდროლოგიის დეპარტამენტსა და პარიზის სხვადასხვა სტრუქტურაში გაიარა სტაჟირება ენერგეტიკის განვითარების განხრით. ამჟამად კი, თურმე, სადისერტაციო თემაზე "მუშაობს": „განახლებადი ენერგეტიკის ეკონომიკური ეფექტურობა საქართველოსთვის." ნიკოლაიშვილი არის საქართველოში განახლებადი ენერგეტიკის ხელშემწყობი კომისიის მდივანი, საქართველოში „მსოფლიო მზის პროგრამის" კოორდინატორი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პირველი დინასტიის წარმატებული სტარტი

შოთა უტიაშვილი

ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი "მმართველი დინასტიის" გამოცხადების შემდეგ ატეხილი აჟიოტაჟი ნელ-ნელა ცხრება. მართალია, საერთაშორისო პრესამ "კიმ ჩენ ილჰამზე" (ეს მეტსახელი აზერბაიჯანელ ლიდერს ავტორიტეტულმა ინგლისურმა ჟურნალმა "ეკონომისტმა" დაარქვა, ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, ასევე მამამისის მიერ დანიშნული კიმ ჩენ ირის ანალოგიით) ირონიით გული იჯერა, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებს, წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ აზერბაიჯანზე მომუშავე ექსპერტებს განსაკუთრებული პროტესტი არ გამოუთქვამთ და ალიევის დანიშვნა მიიღეს, როგორც სრულიად ბუნებრივი რამ.

12 აგვისტოს, პრეზიდენტმა ბუშმა წერილი გაუგზავნა ილჰამ ალიევს, მნიშვნელოვან პოსტზე დანიშვნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება. "ჩვენ ვილოცებთ მამათქვენისა და მთელი თქვენი ოჯახისათვის", – ამ სიტყვებით მთავრდება ბუშის წერილი. ილჰამმა მისალოცი დეპეშები რამდენიმე სხვა სახელმწიფოდანაც მიიღო.

სავსებით მოსალოდნელია, რომ 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უმცროს ალიევს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდეს თავს, მაგრამ ვინმეს რომ მტკიცედ ჰქონდეს გადაწყვეტილი 15-ში საარჩევნო ფარსის თავიდან აცილება, სერიოზულ კამპანიას აქედანვე დაიწყებდა. რაკი ეს არ მოხდა, უმცროს ალიევს შეუძლია "დამშვიდებული სინდისით", ტრადიციული ხერხებით მოიგოს არჩევნები, მით უმეტეს, იგი ისედაც აცხადებს, რომ ყველაფერში მამამისის პოლიტიკას გააგრძელებს. როგორც ჩანს, ჰეიდერ ალიევი საფლავიდანაც გააგრძელებს ქვეყნის მართვას, რასაც იგი ხანმოკლე შესვენებით 1969 წლიდან მოყოლებული აკეთებს.

რატომ შეხვდა საერთაშორისო საზოგადოება ასე გულგრილად სახელისუფლო დინასტიის შექმნას?

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 რეკლამა A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# რეზო ჩხიკვიშვილი - ლეიბორისტების კიდევ ერთი სახე



*ნათელაშვილი საარჩევნო იმიჯს კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებით იქმნის*

ახალი მოწვევის პარლამენტში, რეჟისორ გოდერძი ჩოხელთან ერთად, შესაძლოა ცნობილი ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილიც მოხვდეს. მსახიობი უკვე 9 წელია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობს. ჩხიკვიშვილი ქალაქ ჰესენის დრამატული თეატრის მსახიობი და ''საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" საზღვარგეთის ბიუროს ხელმძღვანელია.

''ჩემი გული და სული მუდამ საქართველოსთან არის დაკავშირებული. მსურს, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით გვერდით დავუდგე ჩემს სამშობლოს და ''ლეიბორისტული პარტიის" ლიდერთან, შალვა ნათელაშვილთან ერთად, აქტიურად ჩავერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც", - განაცხადა ჩხიკვიშვილმა. მისი თქმით, ''ლეიბორისტული პარტიის" საზღვარგარეთის ბიუროში მრავალი ქართველია გაწევრიანებული, რომლებიც პარტიის ლიდერს პოპულარიზაციას უწევენ და გერმანიაში მცხოვრებ ქართველებს აქტიურად ეხმარებიან.

ჩხიკვიშვილმა არ დააკონკრეტა, აპირებს თუ არა ''ლეიბორისტული პარტიის" სიით პარლამენტში კენჭისყრას, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში მოსვლის შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობას და განსაკუთრებით ხელოვან ხალხს გზის გაკვლევაში და მიზნების რეალიზებაში დახმარებას ჰპირდება. ''სცენა და პოლიტიკა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ორივე სფერო სიმართლესა და გამჭირვალობას მოითხოვს და მეც სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ ცხოვრებაში", - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

# ქართველები გაერო-ს დამკვირვებლებსა და რუს სამშვიდობოებს პასუხს სთხოვენ

დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა გუშინ ჭუბურხინჯში გამართული ოთხმხრივი შეხვედრა. ქართულმა მხარემ გაერო-ს სამხედრო მეთვალყურეებსა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს პრეტენზია წაუყენა – გაერო-ს მეთვალყურეებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ბოლო დღეებში მომხდარი გახმაურებული ყაჩაღობებისა და მკვლელობის ფაქტები გააპროტესტა.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გალის ტერიტორიაზე, სავარუდოდ, აფხაზების მიერ ყაჩაღური თავდასხმისას მოკლულია სამი, ხოლო საყოფაცხოვრებო მიზეზით - ერთი ქართველი. გალის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე 30 წლის კობა ჩაკაბერიას გვამი იპოვეს. მეორე დღეს კი სოფელ პირველი გალის სასაფლაოზე აღმოაჩინეს გელა ცაგურიას გვამი. ორივე მათგანს სხეულზე ცეცხლნასროლი ჭრილობები და ძალადობის ნიშნები აღენიშნებოდა. ამავე კვირაში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა სოფელ მზიურში დარსანიების ოჯახზე. თავდამსხმელებმა სასტიკად აწამეს ოჯახის დიასახლისი, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

გუშინდელ შეხვედრაზე აფხაზური მხარე ირწმუნებოდა, რომ ამ ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმები უკვე აღძრულია და მიმდინარეობს გამოძიება, რასაც ქართული მხარე ეჭვით უყურებს. "გალის რაიონში მკვლელობებისა და ყაჩაღობების კატასტროფული ზრდა შეინიშნება. მისაღებია მკაცრი ზომები დანაშაულის აღსაკვეთად", - ასეთი მოთხოვნა დააყენეს ქართველებმა ოთხმხრივ შეხვედრაზე. ჩვენი ინფორმაციით, შეხვედრაზე მყოფ გაერო-ს დამკვირვებლებსა და რუს სამშვიდობოებს ქართული მხარის განცხადებებზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

*24 საათი*

# "გაუმარჯოს როლანდ გილიგაშვილს"

პოლიტიკური პარტიების ხმაური ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შეჩერებასთან დაკავშირებით დილის 11 საათიდან დაიწყო. იუსტიციის სამინისტროს შენობის წინ შეკრებულმა "ლეიბორისტებმა" გარშემოხვეულ მოქალაქეებს სიხარულით ამცნეს, რომ სამინისტრომ ის რეესტრში არ გაატარა. იუსტიციის მინისტრის მოადგილის ზურაბ ეზუგბაიას განმარტებით, სემეკ-ის დადგენილების პროექტს შესაბამისი იურიდიული ექსპერტიზა ჩაუტარდა და მთელი რიგი შენიშვნები გამოირკვა. მათ შორის, აღნიშნულ დადგენილებაში არ არის გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ტარიფი მოსახლეობის გადახდისუნარიანობას უნდა შეესაბამებოდეს.

იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილების შემდეგ, "ლეიბორისტების" აქცია დაიშალა შეძახილებით - "გაუმარჯოს როლანდ გილიგაშვილს".

შემდეგ "ნაციონალების" ჯერი დადგა. "ეს იმ ხალხის გამარჯვებაა, ვინც დენის ტარიფის გაძვირების საწინააღმდეგოდ ორშაბათს "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად ქუჩაში გამოვიდა", - განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას ისიც მიესალმა. თუმცა, მისივე თქმით, უახლოეს დღეებში, შესაძლოა ვითარება კვლავ შეიცვალოს, რადგან რუსული მხარე ტარიფის გაძვირებას კატეგორიულად მოითხოვს. "მთავრობამ ტარიფის გაზრდა დროებით შეაჩერა. ინფორმაცია გვაქვს, რომ რუსეთის მხრიდან ზეწოლა კვლავ გრძელდება და ელექტროენერგიის ტარიფის მომატება ისევ მალე დადგება დღის წესრიგში. თუ მთავრობა რუსეთის მოთხოვნას შეასრულებს, კვლავ მასობრივ საპროტესტო აქციებს მივმართავთ. ამ საქმეში ყველა პარტია უნდა გავერთიანდეთ",– განაცხადა სააკაშვილმა.

იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში, როგორც სავალუტო ფონდის, ასევე სემეკის წარმომადგენლებს შევხვდება, "რათა საბოოლოდ შევჯერდეთ და დენის ტარიფის გაძვირებით მოსახლეობის ინტერესები არ შევლახოთ", - აღნიშნა გილიგაშვილმა.

*24 საათი*

# ჯემალ გოგიტიძე შევარდნაძეს ქვეყნის ღალატში ადანაშაულებს

ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე საქართველოს ხელისუფლების მიერ 11 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას ყოვლად გაუმართლებელ ნაბიჯად აფასებს და ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის ინტერესების ღალატში ადანაშაულებს. გოგიტიძის განცხადებით, ხელისუფლებას აფხაზეთის მიმართ გატარებულ მცდარ პოლიტიკაში თავისი შეცდომების აღიარება იმის გამო არ სურს, რომ იგი ქვეყნისათვის საბედისწერო შეცდომებს "მიზანმიმართულად უშვებდა საკუთარი ხელისუფლების გასამყარებლად, რისთვისაც მან ოსტატურად გამოიყენა იმჟამად არსებული გარე ფაქტორიც". **ინტერ-პრესი**

# ტყემალაძე PA Consulting-ს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გაკოტრებაში ადანაშაულებს

სოფიკო ოხანაშვილი

*საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი ტყემალაძე PA Consulting-ის ჯგუფს, რომელსაც კომპანია მართვის უფლებით აქვს გადაცემული, ფინანსურ მაქინაციებსა და შრომის კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. მისი თქმით, კომპანიის მმართველმა თანამშრომლებს სამსახურში მისვლა აუკრძალა, თუმცა ისინი თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებია.*



*"PA Consulting"-ს შეგნებულად მიჰყავს გამანაწილებელი კომპანია გაკოტრებისკენ," - ამტკიცებს დავით ტყემელაძე.*

**"PA Consulting"-ს შეგნებულად მიჰყავს გამანაწილებელი კომპანია გაკოტრებისკენ, რათა კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ დაინტერესებულმა ჯგუფებმა კაპიკებად ჩაიგდონ ხელში",** - გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ტყემალაძემ. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც PA Consulting-ის ჯგუფი გახდა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მმართველი, შემცირდა საბითუმო ბაზრისათვის გადახდილი თანხის მაჩვენებელი. ტყემალაძის ინფორმაციით, PA Consulting-ის ჯგუფის შემოსვლამდე სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ სამი თვის განმავლობაში საბითუმო ბაზარს ორი მილიონი ლარი გადაუხადა, ხოლო მათი შემოსვლიდან, საბითუმო ბაზრისთვის სამი თვის განმავლობაში მხოლოდ 300 ათასი ლარის გადახდა მოხერხდა.

შეგახსენებთ, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია 18 თვის მართვის უფლებით PA Consulting-ს 2003 წლის 16 მაისს გადაეცა.

გიორგი ტყემალაძე ამერიკელ მენეჯერებს კომპანიის 43 თანამშრომლის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებაშიც ადანაშაულებს. ის აცხადებს, რომ 7 აგვისტოს, მისი ჩათვლით, კომპანიის 43-მა თანამშრომელმა მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობისგან მიიღო წერილობითი შეტყობინება, სადაც ნათქვამია, რომ ისინი სამსახურში აღარ მისულიყვნენ, თუმცა ხელფასებს ჩვეულებრივად აიღებდნენ. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად კი PA Consulting კომპანიის მძიმე ფინანსური მდგომარეობა სახელდებოდა.

ტყემალაძის განცხადებით, საფინანსო და ტექნიკური განყოფილებების დათხოვილი თანამშრომლების თანამდებობებზე ამერიკელმა მენჯერებმა უკვე სხვა კადრები აიყვანეს.

**"თუ კომპანიას ფინანსურად უჭირს, მაშინ წერილის მიღების შემდეგ რატომ აჰყავთ ახალი თანამშრომლები",** - აღშფოთებას ვერ მალავს ტყემალაძე. მისი აზრით, ამერიკელმა მენეჯერებმა მათთან გაფორმებული კონტრაქტები უხეშად დაარღვიეს. ამის გამო, საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსი თანამშრომელთათვის ატესტაციის ჩატარებასა და მის საფუძველზე რეზერვის თანამშრომლების აყვანას მოითხოვს.

# დაზარალებულთა კუთვნილი 4 მილიონი მაინც განახევრდა

*ხელისუფლებამ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს პირობა არ შეუსრულა. დაზარალებულთა ფონდისთვის შეპირებული 4-მილიონიანი ტრანსფერი განახევრებულია. ფინანსთა სამინისტრო ამ თანხის შევსების გზებს ქალაქის ბიუჯეტში ეძებს, თუმცა, მერიას მისი წინადადება მიუღებლად მიაჩნია.*

ნანა ქადაგიშვილი

**"ბიუჯეტის სეკვესტრი დაზარალებულთა კუთვნილ 4 მილიონს არ შეეხება,"** – დაბეჯითებით აცხადებდა ფინანსთა მინისტრის მოდგილე ვასილ გიგოლაშვილი ერთი თვის წინათ "24 საათთან" საუბრისას. სავალუტო ფონდთან მოლაპარაკების პროცესშიც ფინანსთა სამინისტრო იმედს იძლეოდა, რომ მოლაპარაკება დაზარალებულთა სასარგებლოდ დასრულდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ხელისუფლება ოთხი მილიონის სეკვესტრში მოყოლის ფაქტს ჯერ კიდევ არ ახმაურებს. არადა, ერთი კვირის წინათ პარლამენტში შეტანილი სეკვესტრირებული ბიუჯეტის კანონპროექტში დაზარალებულთა დასახმარებლად ოთხის ნაცვლად ორი მილიონი ლარი დევს. **"დაზარალებულებს კი შევპირდით, მაგრამ როცა სავალუტო ფონდის მოთხოვნა გამკაცრდა, იძულებული გავხდით, თანხა გაგვენახევრებინა. ამასთან, ჯობს, ვალდებულებები შევამციროთ, სამაგიეროდ, რეალურად შევასრულოთ. ცენტრალური ბიუჯეტიდან დაზარალებულთა ფონდისთვის 4 მილიონი ლარის გადარიცხვა მაინც ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ მისი შევსება სხვა გზითაც შეიძლება. მერიას ცენტრალური ბიუჯეტიდან კრედიტი აქვს აღებული, თუკი ქალაქის ხელმძღვანელობა ამ თანხას დაზარალებულებს მოახმარს, ვალს აღარ მოვთხოვთ,"** – აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი.

ფინანსთა სამინისტრო მერიას ცენტრალური ბიუჯეტის მხრიდან მიწისძვრის შედეგად დაზარალებული განათლების ობიექტების აღდგენაში გაწეულ თუ გასაწევ ღვაწლსაც ახსენებს. **"ქალაქის სკოლებისა თუ ბაგა-ბაღების შესაკეთებლად მსოფლიო ბანკისა და გერმანიის მთავრობის მიერ გაწეულ დახმარებაში საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის წილიც არის. თანადაფინანსებას ჩვენ ვიხდით. ქალაქის ბიუჯეტისთვის ესეც ხომ შეღავათია,"** –განმარტავს გიგოლაშვილი.

ასეთი განმარტებების მიუხედავად, თბილისის მერია ფინანსთა სამინისტროს წინადადების მიღებას სულაც არ აპირებს. **"დაზარალებულთა დახმარების ფონდში, მერიამ უკანასკნელად, გასული წლის დეკემბერში, მილიონი ლარი გადარიცხა. წელს საკრებულომ ბიუჯეტი ისე დაამტკიცა, რომ დაზარალებულთა დასახმარებლად დამატებით ხარჯებს ვერ მოვიძიებთ. ფინანსთა სამინისტროს წინადადებას რაც შეეხება, არარეალურია. ქალაქის ბიუჯეტს ცენტრალურიდან კრედიტი კი აქვს აღებული, მაგრამ ამ უკანასკნელსაც აქვს ქალაქის ბიუჯეტის ვალი. ერთმანეთის ვალები გვაქვს და მათგან ზოგი აღიარებულია, ზოგი არა. ეს საკითხი დღემდე გასარკვევი გვაქვს მერიასა და ფინანსთა სამინისტროს,"** – აცხადებს მერიის საფინანსო სამმართველოს ხელმძღვანელი ამირან ძებისაშვილი.

ასე რომ, უკანასნელი იმედი პარლამენტზეა. თუკი ოპოზიცია სეკვესტრირებული ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებას ვერ მოახერხებს, საკრებულოს მიერ ახლადდამტკიცებული მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდი მხოლოდ 2 მილიონი ლარის ამარა დარჩება. ეს კი ათასობით დაზარალებულთა დაცინვას უფრო ნიშნავს, ვიდრე დახმარებას.

# რა ელის პროკურორს, რომელიც პოლიტიკურ შეკვეთას არ ასრულებს

პირველი გვერდიდან

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პროფესიონალი გამომძიებლის იმიჯით ცნობილი ელდარ თოფჩიევი თანამდებობიდან ტრადიციული მეთოდით წავიდა - კუთვნილი შვებულება აიღო, რომელიც კვლავ სამსახურში და საქმეების გადაბარებაში გაატარა. არსებული ინფორმაციით, გენერალურ პროკურატურაში დღის წესრიგში დადგა ელდარ თოფჩიევის სამსახურიდან გათავისუფლებაც, თუმცა, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყდა, რომ კვალიფიციურ პროკურორს, რომელმაც პოლიტიკური შეკვეთა ვერ შეასრულა, ჩამოქვეითება ელის.

პროკურატურაში მომხდარი პოლიტიკური "საკადრო შემცირება" მკაცრად გასაიდუმლოებულია. ამ საკითხზე კომენტარს არავინ აკეთებს. **"ამბოხებული გვარდიელებისთვის ბრალდებები არავის მოუხსნია, გაუგებარია, რატომ გაიგო საზოგადოებამ ეს ინფორმაცია არასწორად. ამჟამად საქმის გამოძიება გრძელდება, მიმდინარეობს ცოტა ხნის წინ ბრალდებულთა სახლებიდან ამოღებული იარაღის შემოწმება. რაც შეეხება ელდარ თოფჩიევს, მასთან დაკავშირებით არანაირ ინციდენტს არ ჰქონია ადგილი, ეს არასწორია, ის შვებულებაში იყო. შესაძლოა, სხვა თანამდებობაზე გადავიდეს, მაგრამ მისნაირ კვალიფიციურ გამომძიებელს სამსახურიდან არავინ გაათავისუფლებს,"** – ასეთი კომენტარი გააკეთა გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა აკაკი ბუდაღაშვილმა.

სამწუხაროდ, გენერალური პროკურატურის პოლიტიკურ მსხვერპლთან ელდარ თოფჩიევთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

ერთი სიტყვით, კანონით აპოლიტიკურ სამართალდამცველ სტრუქტურაში – პროკურატურაში - გამომძიებლებს, რომლებიც პოლიტიკურ შეკვეთას ვერ ან არ ასრულებენ, მკაცრი განაჩენი ელით. კვალიფიციური გამომძიებლის ელდარ თოფჩიევის მაგალითი ამის დასტურია.

# სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი?

1 აგვისტოსათვის ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების 9 თვის გეგმა დაფინანსებულია 44 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა - 33 პროცენტით. შვიდ თვეში გაიცა 29,5 მილიონი ლარი, ხოლო დარჩენილ ორ თვეში უნდა დაიხარჯოს 37,96 მილიონი ლარი.

ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის პროგრამის 9 თვის გეგმა დაფინანსებულია 27 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა - 20 პროცენტით.

**კვლავ დაუფინანსებელია ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა რეგისტრაციისა და სპეციფიკური დახმარების პროგრამა. ასე გამოხატავს მთავრობა თავის დამოკიდებულებას ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა წინაშე?**

1 აგვისტოსათვის სოციალური ფონდის ტრანსფერის 9 თვის გეგმა დაფინანსებულია 46 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა - 35 პროცენტით. შვიდ თვეში გადაირიცხა 27,9 მილიონი ლარი, ხოლო დარჩენილ ორ თვეში უნდა გაიცეს 32 მილიონი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯები 1 აგვისტოსათვის

[illegible]

| პროგრამის დასახელება | წლის გეგმა | 9 თვის გეგმა | შესრულება | % წლის გეგმასთან | % 9 თვის გეგმასთან |
|---|---|---|---|---|---|
| ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები | 89500 | 67528.42 | 29562.5 | 33% | 44% |
| [illegible] | 4622 | 3433.5 | 928.1 | 20% | 27% |
| [illegible] | 488 | 484 | 83.2 | 17% | 17% |
| [illegible] | 2897 | 2190.5 | 691.7 | 24% | 32% |
| [illegible] | 977 | 678 | 111.2 | 11% | 16% |
| [illegible] | 100 | 71 | 42 | 42% | 59% |
| [illegible] | 5878 | 4126.5 | 754.9 | 13% | 18% |
| [illegible] | 1100 | 843 | 398.6 | 36% | 47% |
| [illegible] | 550 | 382.5 | 161.1 | 29% | [illegible] |
| [illegible] | 2298 | 1778 | 111.7 | 5% | 6% |
| [illegible] | 365 | 110.5 | 17.5 | [illegible] | 16% |
| [illegible] | 1065 | 743 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 200 | 127.5 | 0 | 0% | 0% |
| სხვა | 200 | 140 | 22.5 | 11% | 16% |
| სოციალური ფონდის ტრანსფერი | 79000 | 59968.4 | 27879.5 | 35% | 46% |
| [illegible] | 26775 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 32385 | 23623.5 | 7524.5 | 23% | 32% |
| [illegible] | 775 | 585 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 14400 | 10800 | 4800 | 33% | 44% |
| [illegible] | 4065 | [illegible] | 1182 | 29% | [illegible] |
| [illegible] | 400 | 400 | 100 | 25% | 25% |
| [illegible] | 390 | 390 | 98 | 25% | 25% |

**1 აგვისტოსათვის პენსიის ტრანსფერი დაფინანსდა 13,7 მილიონი ლარით. ცხრა თვის გეგმის შესრულებას აკლია 7,4 მილიონი ლარი.**

**ნათელია, რომ მთავრობას არ აღელვებს ხალხის ბედი. მაგრამ, ნუთუ ასე ფიქრობს ყველა?!**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ელექტრომომარაგებაში შექმნილი შეფერხებები ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ "ეი-ი-ეს თელასისათვის" დაწესებულ ახალ ლიმიტს უკავშირდება. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის დაბალი მაჩვენებლის გამო, ბაზრის ადმინისტრაციამ "ეი-ი-ეს თელასი" 26 პროცენტით შეზღუდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სპეციალური სატენდერო კომისია, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ანზორ ბალუაშვილის ხელმძღვანელობით, უშედეგოდ ცდილობს, დაადგინოს "რაო ეესსა" და "ეი-ი-ეს"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები. ბალუაშვილის თქმით, ეს ინფორმაცია ქართული მხარისათვის, სავარაუდოდ, ერთი კვირის შემდეგ იქნება ცნობილი - როცა "რაო ეესსა" და "ეი-ი-ესს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას კონფიდენციალურობის ვადა გაუვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ანტიკონტრაბანდული ღონსძიებების შედეგად, აღმოჩენილი იქნა ფოთის პორტის საბაჟო საწყობში შენახული 40 ფუტის ტევადობის კონტეინერით 2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სიგარეტი „მაგნა". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ხუთშაბათს პირადად შეხვდება მაჟორიტარ დეპუტატებს, რათა მათი მხარდაჭერა მოიპოვოს - მისი უწყების მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სეკვესტრის საკითხთან დაკავშირებით. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სპეცტრანსფერებისთვის გამოყოფილი 15,185 მილიონი ლარი სეკვესტრის პროექტით 9,8 მილიონი ლარით იკვეცება. რომელ რაიონს რა რაოდენობის თანხა უნდა ჩამოეჭრას, ფინანსთა მინისტრი, სავარაუდოდ, მაჟორიტარ დეპუტატებთან შეხვედრაზე გადაწყვეტს. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნოდარ ხადურმა აღნიშნა, შეხვედრაზე არ მოხერხდება შესამცირებელი პარამეტრების შეცვლა. თუმცა, შესაძლებელია, გადაიხედოს რეგიონების ტრანსფერების შესამცირებელი თანხის მოცულობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ, ორი კომპანიის გარდა, ქვეყანაში სუფთა ბენზინს არავინ ყიდის. მისივე თქმით, გაჩერებულია ყველა ნავთობსახდელი და მათი უმეტესობა აწარმოებს ნავთს, რომელსაც შემდეგ ურევენ ბენზინში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სექტემბერში დაგეგმილია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოების სრული შემადგენლობების შეხვედრა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო სამრეწველო საწარმოთა ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების ხანგრძლივი ვადით რესტრუქტურიზაციასა და უიმედო კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერას ითხოვს. სამინისტროს ინფორმაციით, სამრეწველო საწარმოების კრედიტორული დავალიანებები ათეულობით მილიონს შეადგენს, საიდანაც ნახევარზე მეტი საბიუჯეტო დავალიანებაა. მათ შორის - ს/ს "მადნეულის" კრედიტორული დავალიანება 11 682,6 ათასი ლარია, ს/ს "ტყიბულნახშირის" კრედიტორული დავალიანება 10 598,5 ათას ლარს შეადგენს, ს/ს "ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის" დავალიანება კი 24 805,8 ათასი ლარია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, არასწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარების გამო, ლატარიებიდან და სათამაშო ბიზნესიდან შემოსავლებმა ბიუჯეტში მნიშვნელოვნად იკლო. წელს ამ დარგიდან შემოსულმა დღგ-მ 31,7 მილიონი ლარი შეადგინა, შარშან კი ანალოგიურ პერიოდში არასაგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში 48,7 მილიონი ლარი შევიდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის ახალგაზრდა ეკონომისტთა კავშირმა ქუთაისის ბიუჯეტის განათლების ობიექტების დაფინანსების ერთი კვარტლის ხარჯვის შედეგები შეისწავლა და დაადგინა, რომ ქუთაისის ბიუჯეტი იმ სკოლებს სწყალობს, რომელთა დირექტორები საკრებულოს წევრები არიან. ქუთაისის სკოლების უმრავლესობას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ოფისის ხარჯებიდან სამი თვის მანძილზე 8 ლარი აქვს დახარჯული, ხოლო იოსებ ოცხელის, წმინდა ნინოს სახელობის და "კლასიკურ" გიმნაზიებს ათასობით ლარი აქვთ ათვისებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრომ პარლამენტში განსახილველად შეიტანა „არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონპროექტი. სამინისტრო მოითხოვს, რომ არქმშენინსპექციას, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ჰქონდეს ობიექტის შემოწმების და მშენებლობის აღკვეთის უფლება, რადგან სასამართლო განხილვა უმეტესად დროში იწელება და ხშირად განაჩენის გამოტანამდე მშენებლობა დასრულებულია, სამშენებლო ობიექტის დანგრევა კი, როგორც წესი, არ ხერხდება. აქამდე კანონით გათვალისწინებული იყო, რომ არქმშენინსპექცია ორჯერ აფრთხილებდა უკანონო მშენებლობის მწარმოებლებს და მეორე გაფრთხილების შემდეგ აჯარიმებდა 3000 ლარით. თუ მეორე გაფრთხილებიდან 10 დღეში მშენებლობა არ შეწყდებოდა, არქმშენინსპექცია სასამართლოს მიმართავდა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვისა და ტრანსპორტის სამინისტროების ინიციატივით და სახელმწიფო საოკეანო-სანავიგაციო კომპანიის უშუალო მონაწილეობით, დღეს, საზღვაო ოფიცერთა მომზადებისა და გადამზადების საკოორდინაციო ცენტრი გაიხსნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან მე-11 წლისთავზე, საქართველოს ხელისუფლებას 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული ტრაგიკული მოვლენებიდან "სათანადო დასკვნების გაკეთებას და საქართველოსათვის საბედისწერო შეცდომების არგამეორებას ურჩევს". არშბა კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის როლს. არშბა იმედოვნებს, რომ ქართული მხარე, "ადრე თუ გვიან აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას" და ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნორმალური ურთიერთობები ჩამოყალიბდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის ქართული მხარის წარმომადგენლებმა, ხუთშაბათს, საკონტროლო კომისიის სხდომაზე, პროტესტი გამოთქვეს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ქართველმა დევნილებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა აღადგინონ თავის საცხოვრებელი ფონდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სახლი აუქციონზე გაიყიდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე "პროვოკაციას და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგორებულ პიარკომპანიას" უწოდებს რუსული მასმედიით გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ, თითქოს, საქართველოს კავშირი აქვს გადასატანი საზენიტო კომპლექსების გაყიდვასთან და ამიტომ უარს ამბობს მათ შესახებ დსთ-ს ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი პოლკოვნიკის, იური ახმეტოვის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მიერ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის გადაყენება, ჯერჯერობით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების მსახურობის რეჟიმზე არ ასახულა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** 150 აზერბაიჯანელი მშვიდობისმყოფელი ხუთშაბათს ერაყში გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** ოცი საერთაშორისო პოლიციელი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს გადაწყვეტილებით ჩადის, თავის მოვალეობის შესრულებას სექტემბერში შეუდგება. პოლიციელების მისიის მიზანია, სამართალდამცველი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება და კრიმინოგენული სიტუაციის მონიტორინგი. საერთაშორისო პოლიციელები გალისა და ზუგდიდის რაიონში გადანაწილდებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა კაფე "იას" მიმდებარე ტერიტორიაზე 42 წლის მარინა არუთინოვა დააკავეს. არუთინოვა ტრეფიკინგით იყო დაკავებული და, სამუშაოზე მოწყობის საბაბით, ქართველი გოგონები თურქეთში გადაჰყავდა, სადაც მათ ფიზიკური და მორალური ზემოქმედებით აიძულებდნენ სექსუალური მომსახურება გაეწიათ თურქი კლიენტებისთვის. არუთინოვამ 24 ივნისს ყალბი პასპორტის გამოყენებითა და მოტყუებით თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანკარაში 2 ქართველი წაიყვანა. არუთინოვა თავდაპირველად მათ 250-დოლარიანი სამუშაოს შოვნას დაჰპირდა. ადამიანით მოვაჭრემ მოტყუებული ქართველები ანკარაში თურქი ეროვნების ქალს, სახელად სევდიას ჩააბარა. მათ პასპორტები წაართვეს და დააშანტაჟეს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი ეწევა არუთინოვა ტრეფიკინგს. მას, ადამიანით ვაჭრობის გარდა, ბრალს სხვისი პასპორტების გამოყენებისა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვისაც წაუყენებენ. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაჩაღობისათვის ძებნილი, 22 წლის დავით სოხაშვილი პოლიციელებმა გუშინ დააკავეს. მას ბრალად ედება კერძო ტაქსის მძღოლებზე ყაჩაღური თავდასხმა და თავდასხმის მცდელობა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, სოხაშვილმა 2003 წლის 19 თებერვალს მტკვრის სანაპიროზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან ტაქსის მძღოლ კახა სტეფანიშვილს დანის მუქარით წაართვა 30 ლარი. ამავე დღეს იგი ფულის წართმევას შეეცადა, ასევე, ტაქსის მძღოლ თამაზ ვაკოევისთვისაც, თუმცა ვერ შეძლო, რადგან მძღოლმა მას წინააღმდეგობა გაუწია. **მედია-ნიუსი**

# ბურჯანაძე მხარდამჭერებს იკრებს და იწვევს

პირველი გვერდიდან

**იგი აუცილებლად გამოადგება საქართველოს",** - ყველაზე მეტად პარლამენტის თავმჯდომარისადმი ქათინაურები არასამთავრობო სექტორის წარმომადეგენელ ქალბატონს არ დაენანა.

**"კორუფცია თითქმის ყველა დონეზე... თავისუფალი ვერ იქნება ადმიანი, რომელსაც არ აქვს შუქი, ხელფასი, წამლის საყიდელი ფული და, ამდენად, ვიღაცაზეა დამოკიდებული... აფხაზეთი ჩვენი შვილების კი არა, ჩვენი დასაბრუნებელია... იმედი მაქვს, რომ შექმნილი რელობა გამოაფხიზლებს პოლიტიკურ პარტიებს...**

**ძალა ერთობაშია! ისტორიიდანაც ვიცით, რომ ცალ-ცალკე ყოველთვის ვმარცხდებოდით",** - ბურჯანაძის სიტყვა გუშინ უკვე სერიოზული პოლიტიკური ლიდერის ლოზუნგებად ისმოდა.

ჟურანალისტებთან საუბარში დავით სალარიძე თავისი ორგანიზაციის წევრთა რაოდენობად, სულ ცოტა, 10 ათას კაცს ასახელებდა. მაგრამ ბურჯანაძე თავისი პოლიტიკურ-სამოქმედო პრინციპების განხორციელებას, დიდ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას მხოლოდ სალარიძის გუნდის იმედით არ აპირებს. შეკრების შემდეგ მან თავად განაცხადა, რომ სალარიძის მოძრაობის გარდა, იგი უახლოეს ხანში სხვა მხარდამჭერების მოლოდინშია.



გოჩა ბაზაძის ფოტო

*დავით სარალიძე დარწმუნებულია, რომ ნინო ბურჯანაძე აუცილებლად გამოადგება საქართველოს.*

# "ჩუბაისი საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლას შეეცდება"

პირველი გვერდიდან

ჯავშანტექნიკაა, ავიაციაა. ვისი უნდა სჯეროდეს ხალხს, როცა პუტინიც კი ტყუის? ჩეჩნეთში დღეს სამხედრო საოკუპაციო რეჟიმია, რაც კრემლს აძლევს ხელს. საჭიროა სხვანაირი მიდგომა. პირველ რიგში უნდა დაიწყოს ჩეჩნეთის ეკონომიკური გაჯანსაღება, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვევითაა შესაძლებელი. უნდა შეიქმნას ჩეჩნეთის საერთაშორისო ფონდი, გაერო-ს, დასავლეთის სტრუქტურების მონაწილეობით. საერთაშორისო მონიტორინგმა უნდა შეიწავლოს ჩეჩნეთში წარმოებული უმძიმესი დაბომბვების შემდგომი კატასტროფული ეკოლოგიური ვითარება - იქ მიწისქვეშ ქანები გადაადგილდნენ და ნავთობი პირდაპირ ქუჩებში ამოდის.

ჩეჩნეთის აღდგენაში კრემლის დახმარების იმედი არ მაქვს, სამაგიეროდ დასავლეთი სერიოზულადაა დაინტერესებული. მაგრამ მე დღეს ძალზე მაფიქრებს ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირებული ტერაქტები და მკვლელობები. გამართლდა ჩემი ცუდი პროგნოზი ჩეჩნეთის ომის გაფართოებაზე. შეიძლება ამ პროცესმა მთელი ჩრდილოეთ კავკასია ცეცხლში გახვიოს და საქართველოსაც მისწვდეს.

**- როგორ შეაფასებდით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ბოლოდროინდელ დათბობას, ვთქვათ, ჩუბაისისთვის საქართველოს ენერგოობიექტების მიყიდვას?**

- აშშ-ს საქმიანმა წრეებმა ედუარდ შევარდნაძე სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენეს. გასაგებია, რომ ჩუბაისი ძლიერი და გავლენიანი ფიგურაა და მას უდიდესი გავლენა აქვს რუსეთის პრეზიდენტზე, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ის მეთოდები, რომლითაც ამერიკამ საქართველოს სტრატეგიული ენერგოობიქტები რუსეთს ხელში ჩაუგდო. ეს მეტად საშიში პოლიტიკური სიმპტომია. დღეს ჩუბაისის ხელშია უდიდესი რესურსი კაპიტალის სახით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მთავარი შეცდომა ისაა, რომ მან ვერ ან არ მოახდინა სტრეტეგიული ენერგომონოპოლიების ნაციონალიზება.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ ჩუბაისის ხელით რუსეთი საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩაერევა?**

- უსათუოდ ჩაერევა, თანაც - საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლის მიზნით. არ მჯერა, რომ "რაო ეეს"-ი მხოლოდ კომერცია და ბიზნესია. ჩუბაისი საქართველოში პოლიტიკის საკეთებლად შევიდა. ეს სრულიად ცხადი რეალობაა. ვისი კარნახით ხდება ეს, არ ვიცი, მაგრამ ქართველი ხალხის ინტერესებს რომ არ შეესაბამება, აშკარაა.

ენერგეტიკა სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს. საქართველოს სიტუაციაში, სადაც არასახარბიელო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფონია, სტაბილურობის შენარჩუნება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია და არა კერძო კორპორაციებს, გინდა ამერიკული იყოს და გინდა რუსული. ამიტომ, როცა ასეთი ქვეყნის ენერგეტიკას მეორე ქვეყანა ეუფლება, ეს მხოლოდ და მხლოდ პოლიტიკაა. მე შევარდნაძის ადგილზე საქართველოს ენერგეტიკული სფეროს დაუყოვნებლივ ნაციონალიზებას მოვახდენდი. ჩუბაისი საკუთარ ხალხს არ ინდობს და ორმოცგრადუსიან ყინვაში ციმბირს უშუქოდ ტოვებს, საქართველოს რატომ შეეწევა? საბოლოო მიზანი საქართველოზე პოლიტიკური გავლენაა, რის ფონზეც საქართველო იძულებული გახდება, რუსეთს ანგარიში გაუწიოს. ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ რომ აშშ-ს აღარ სურს ჩეჩნეთის ან აფხაზეთის კონფლიქტებში ჩარევა და ამით რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება. თუ ენერგორესურსებსა და ენგურის გასაღებს ჩუბაისს უგდებენ ხელში, უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება საქართველოს სასარგებლოდ არ მოხდება.

**- მაგრამ ხომ იყო სერიოზული განცხადებები კავკასიაში აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებზე?**

- ერაყის მოვლენებმა ეს ტემპი შეაჩერა. ჯერ აშშ-ს ჩვენთვის არ სცალია. როცა მოიცლის, გვიან იქნება, რადგანაც ამიერკავკასია უკვე აფეთქებულია.

**- ეთანხმებით ზოგიერთი ანალიტიკოსის დასკვნას შევარდნაძის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე?**

- ასეთი პოლიტიკური გამოცდილებისა და ასაკის მქონე ადამიანები პოლიტიკურ კურსს არ იცვლიან. შევარდნაძეს, ალბათ, ჰქონდა ასეთი ნაბიჯების გადადგმის რეალური საფუძველი, მაგრამ მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

# ენერგეტიკის ახალი მინისტრი დისერტაციაზე მუშაობს

პირველი გვერდიდან

როგორც პარლამენტის სხდომის შემდეგ მინისტრობის კანდიდატმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი გეგმაა ელექტროენერგიით თბილისისა და ყველა კარგი გადამხდელი რეგიონის 24-საათიანი მომარაგება. მამუკა ნიკოლაიშვილი დანიშვნისთანავე აპირებს, სისტემა მოამზადოს შემოდგომა-ზამთრის პერიოდისთვის; ყოფილ მინისტრთან დავით მირცხულავასთან ერთად იმუშავებს სატარიფო პოლიტიკის მოწესრიგებისთვის.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2002 წლის ბოლოს გაუქმებული ელექტროენერგიის ტარიფი (1 კვტ.სთ-ზე 13,7 თეთრი) აღადგინა და იგი ძალაში მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან შევა. ანალოგიურად აღდგა ელექტროენერგიის ძველი ტარიფი რეგიონებშიც და იგი 1 კვტ საათზე 7,8 თეთრიდან 8,5 თეთრამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დენზე ტარიფის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ ლეიბორისტული პარტიის სარჩელის საფუძველზე შარშან 31 დეკემბერს მიიღო.

**„ამაზე იოლი რა არის - შეამცირებ ტარიფს და ყველა კმაყოფილი დაგიკრავს ტაშს, მერე მთავრობამ უნდა იმტვრიოს თავი - სავალუტო ფონდს რა პასუხი გავცეთ. ელექტროენერგია რაც ჯდება, ის უნდა ამოვიღოთ - ასეთია ფონდის მოთხოვნა. ერთხელ და სამუდამოდ მათთან საერთო ენა უნდა გამოინახოს",** — კარტბლანში მისცა ნიკოლაიშვილ-მირცხულავას ახალ ტანდემს მათმა მფარველმა ედუარდ შევარდნაძემ. მისი აზრით, 2-3 წლის შემდეგ დარწმუნდება მოსახლეობა, რომ მთავრობა ამ გადაწყვეტილების მიღებისას მართალი იყო.

ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიას განცხადებით, სავალუტო ფონდმა ქართულ მხარეს ისევ დაუდასტურა, რომ იზიარებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პარამეტრებს, ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით. ტარიფის გაზრდის შესახებ დადგენილება სემეკ-მა იუსტიციის სამინისტროში უკვე წარადგინა,



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ენერგეტიკის ახალი მინისტრი პარლამენტში თავდაჭერებული გამოცხადდა.*

მაგრამ მინისტრ როლანდ გილიგაშვილს ეჭვი ეპარება, რომ სამინისტრომ ეს დადგენილება რეგისტრაციაში გაატაროს, რადგან სერიოზულ ბარიერს ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ტარიფი არ უნდა გაიზარდოს. იუსტიციის მინისტრი გუშინ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელს ჯონათან დანს ორი საათის განმავლობაში ეთათბირებოდა. როლანდ გილიგაშვილის თქმით, მას ჯონათან დანმა განუცხადა, რომ იგი ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვაშინგტონის ოფისს აცნობებს. ეს პასუხი დღეს ისევე გახდება ცნობილი, როგორც სსფ-ის პოზიცია საქართველოს მთავრობის თხოვნაზე - რამდენიმე დღით გადავადდეს სავალუტო ფონდისადმი მისივე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარდგენის ვადა. საქართველოს მთავრობას ხომ დღემდე არც ერთი მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია და თან თავში ხელს იცემს, პარიზის კლუბში რა გვეშველებაო. 25 აგვისტოს კი მთავრობის დელეგაცია უშუალოდ უნდა წარდგეს სსფ-ის ოფისში და დაარწმუნოს ფონდის ხელმძღვანელობა, რომ 10 ოქტომბერს საქართველოს საკითხვის განხილვა მაინც ღირს.

# იურიდიული პირი სისხლისსამართლებრივი წესით დაისჯება

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შემოღებასა და იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯას ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი.

იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებისა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის გია გოგიბერიძის თქმით, უკანასკნელ პერიოდში, იურიდიული პირების რაოდენობრივი ზრდის პირობებში, ფართოდ გავრცელდა ისეთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირისთვის სხვადასხვა სარგებლის მოტანისთვის. ხშირად დანაშაულის სუბიექტია არა მხოლოდ ფიზიკური პირი, არამედ - მისი მეშვეობით მოქმედი იურიდიული პირი.

კანონპროექტის მიხედვით, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია პასუხისმგებელი პირის მიერ იურიდიული პირის სახელით, ან მისი მეშვეობით, ან მის სასარგებლოდ.

„პასუხისმგებელი პირის" ცნებაში იგულისხმება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო, საკონსულტაციო ორგანოს წევრი," – აცხადებს გია გოგიბერიძე. იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ დანაშაული ჩადენილია, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი ფიზიკური პირი დადგენილი არ არის.

პროექტის მიხედვით, იურიდიული პირის მიმართ გამოყენებული იქნება სასჯელის შემდეგი სახეები: ჯარიმა; საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს რეკლამის აკრძალვა; საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; სასამართლოს ზედამხვედველობის ქვეშ გადაცემა; ქონების კონფისკაცია; სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა და ქონების კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

იურიდიული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში, განაჩენის გამოქვეყნებას სასამართლო იურიდიული პირის ხარჯით უზრუნველყოფს.

*მედია-ნიუსი*

# ძველი ცესკო - ახალი საარჩევნო კოდექსის გვირგვინი

პირველი გვერდიდან

ნებისმიერი პარტიისა და კერძო კანდიდატის მიმართ. ოპოზიციის ამ გადაწყვეტილებამ სახელისუფლებო ძალის აღშფოთება გამოიწვია და მათ კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება მოითხოვეს იმის სადემონსტრაციოდ, თუ "ვის არ სურს მოსყიდვების აღმოფხვრა საქართველოში". ამ საკითხის განხილვა კი, ჯემალ გოგიტიძის გამოსვლით დასრულდა, რომელმაც საზოგადოებას მოუწოდა, ყველასგან აიღოს შემოთავაზებული ფული ან საქონელი და ხმა ერთადერთ ღირესულს - "აღორძინებას" მისცეს. გოგიტიძის განცხადებამ სიტუაცია დარბაზში გარკვეულწილად განმუხტა.

დიდხანს იდავეს პარლამენტში, უნდა იცოდეს თუ არა ქართული ენა დეპუტატობის კანდიდატმა და საარჩევნო კომისიის წევრმა. ბოლოს ეს ნორმა დეპუტატობის კანდიდატების მიმართ დატოვეს.

შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ნარკომანი ხალხის რჩეული პარლამენტში არ უნდა იჯდეს, თუმცა ბევრი იდავეს იმაზე, როგორ უნდა დადგინდეს კანდიდატის ნარკომანობის ფაქტი და - როდის.

როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია ახალ ადმინისტრაციებში ძველი წევრების დანიშვნის აკრძალვის ინიციატივამ. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ სხდომის წამყვანმა გიგი წერეთელმა და ელიზბარ ჯაველიძემ ერთმანეთი "გარეთაც" მიიპატიჟეს. ნინო ბურჯანაძემ კი კიდევ ერთხელ შეახსენა დეპუტატებს ეუთო-ს პოზიცია, თუმცა კვლავ უშედეგოდ. დასასრულ კი სხდომის წამყვანების მცდელობა, ხელახლა დამდგარიყო ეს მუხლი კენჭისყრაზე, უშედეგოდ დასრულდა.

მოკლედ, გუშინ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარლამენტმა საარჩევნო კოდექსი სამი მოსმენით დაამტკიცა.

■ ■ ■

ენერგეტიკის მინისტრობის ახალი კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში მართლაც უსწრაფესად წარადგინა და სახელისუფლებო ფრაქციებმა, ისევე, როგორც შესაბამისმა კომიტეტმა, მისი საკითხი მართლაც სტახანოვური ტემპებით განიხილეს.

მამუკა ნიკოლაიშვილის კანდიდატურის წინააღმდეგ დარგობრივი კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთაგან ხმა მხოლოდ ერთმა დეპუტატმა მისცა.

პარლამენტის სხდომაზეც ნიკოლეიშვილის კანდიდატურის შესახებ ინფორმაცია, საარჩევნო კანონის განხილვის შუალედში, იშვიათი ოპერატიულობით მოისმინეს და რომ არა ოპოზიციის მცდელობა, სახელისუფლებო ძალები მის საკითხზე კენჭისყრის ჩატარებას კანდიდატის პოზიციების მოსმენის გარეშე აპირებდნენ.

ცხადია, ოპოზიციის მთავარი კითხვა თელასის რუსულ კომპანიაზე გაყიდვის ფაქტს ეხებოდა, მოაწერდა თუ არა მამუკა ნიკოლაიშვილი ხელს ქართული ენერგეტიკის რუსეთისთვის "გადაცემას", მინისტრი რომ ყოფილიყო. აქვე, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობა და ისიც გაუხსენეს, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილ ენერგეტიკულ სიტუაციაზე პასუხისმგებელი ისიცაა.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად ოპოზიციის მიერ მხარდაჭერაზე უარის თქმისა, მამუკა ნიკოლაიშვილი, ისევ და ისევ სახელისუფლებო ძალების წყალობით, რა თქმა უნდა, მინისტრად დაამტკიცეს.

# 11 წელი და ერთი თვე გამოსაცდელად

პირველი გვერდიდან

გულისწყრომა მთლიანად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისკენ იყო მიმართული, თუმცა ისინი არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და არც გაერო-ს მუშაობით არიან კმაყოფილნი.

აფხაზეთის მეომართა კავშირის წარმომადგენელი აბესალომ მიქელაძე ჟენევის ფორმატით მოლაპარაკებების და სოჭის შეთანხმებათა ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების შეწყვეტას მოითხოვს.

**"11 წელი საკმარისია საიმისოდ, რომ ჩვენი ხელისუფლების უსუსურობა დავინახოთ",** - ამბობენ მეომრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას, გამოსაცდელად, 11 წელიწადზე კიდევ ერთ თვეს უმატებენ და სექტემბრის პირველ სასესიო კვირას პარლამენტისგან აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გეგმის წარმოდგენას მოითხოვენ.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, მეომრები ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან. აბესალომ მიქელაძე აცხადებს, რომ მომავალი საპროტესტო გამოსვლები "იმელის" შენობასთან მათ მიერ ცოტა ხნის წინათ გამართულ აქციებზე ბევრად უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. მეომართა მთავარი მოთხოვნა შევადნაძის და მისი გუნდის გადადგომა იქნება.

მიქელაძის ინფორმაციით, მეომართა კავშირმა ჩამოაყალიბა ე. წ. "საქართველოს ეროვნული ერთიანობის ხსნის კომიტეტი", რომლის შემადგენლობა, რატომღაც, გასაიდუმლოებულია. როგორც მიქელაძის ემოციური გამოსვლიდან გაირკვა, თუ პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე კონფლიქტის მოგვარების გეგმას არ წარმოადგენს, მაშინ ხსნის კომიტეტი დღევანდელი ხელისუფლებისგან იხსნის საქართველოს...

მეომართა კავშირის წევრები, ყველას, ვისაც ამაში შეიძლება ეჭვი შეეპაროს (ან უკვე შეეპარა) არწმუნებს, რომ ზაფხულის მიწურულს მათი გააქტიურება შემოდგომის საპარლამენტო არჩევნებს არ უკავშირდება.

# შევარდნაძის წინააღმდეგ კიდევ ერთ სარჩელს წერენ

პოლიტიკური პარტია "ახალი დემოკრატები", რომელიც სულ რაღაც ერთი თვისაა, საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

"ახალი დემოკრატების" ლიდერის გიორგი გეგეჭკორის განცხადებით, პარლამენტი უსამართლოდ მოიქცა, როცა ცესკო-ს შემადგენლობის დაკომპლექტებისას 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგებით ისარგებლა: **"აღორძინება" და "მრეწველები" სულ იმას გაიძახიან, ჩვენს ქვეყანაში არჩევნები გაყალბებულად ტარდებაო, ცესკო-ს დაკომპლეტებისას კი მათ ადგილები ამ არჩევნების შედეგების მიხედვით ერგოთ. საინტერესოა, რატომ მოქმედებენ ეს პარტიები ორმაგი სტანდარტებით?"** გეგეჭკორი ცესკო-ს დაკომპლექტებისას 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების მაჩვენებლების გათვალისწინებას დაუშვებლად მიიჩნევს: **"გაუგებარია, რა კრიტერიუმებით სარგებლობდა პარლამენტი, როდესაც ადგილების განაწილების პრინციპად განსაზღვრა მხოლოდ თბილისის არჩევნების შედეგები? ეს არჩევნები საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა".**

გეგეჭკორი აცხადებს, რომ ცესკო-ს დაკომპლექტებისას პარლამენტმა კონსტიტუციით აღიარებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობა –თანასწორობის პრინციპი დაარღვია. "ახალი დემოკრატების" ლიდერი სასამართლო გზით აპირებს კანონიერების აღდგენას. გეგეჭკორი პრეზიდენტ შევარდნაძეს მას შემდეგ უჩივლებს, როცა პარლამენტი საარჩევნო კოდექსის საბოლოო ვარიანტს დაამტკიცებს და მას პრეზიდენტი ხელს მოაწერს.

*24 საათი*

# ხაბურძანია "შავ სიაში" მოხვედრილებს კაბინეტში იბარებს

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების დასრულებას თვის ბოლოსთვის ვარაუდობს. პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, მინისტრი ამ დღეებში საკუთარ კაბინეტში აპირებს იმ პირების დაბარებას, რომლებიც ბენზინგასამართი სადგურების წილს ფლობენ.

"ჩემი თანამშრომლების მიერ მოკვლეულ საგამოძიებო მასალებში, შესაძლოა, მხოლოდ 20 პროცენტის ცდომილება იყოს", - აცხადებს ხაბურძანია და გვპირდება, რომ მასთან კაბინეტში მისულებს მოსთხოვს, მოახდინონ საკუთარი საქმიანობის ლეგალიზება. "მე მათ მივმართავ, აწარმოონ კანონიერი ბიზნესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით დადგენილი ზომებით დაისჯებიან,"– იმუქრება მინისტრი.

კონკრეტულად ვის მოუწევს საკუთარი საქმიანობის შესახებ უშიშროების მინისტრისთვის ანგარიშის ჩაბარება, ჯერჯერობით, კვლავ გასაიდუმლოებულია. როგორც მინისტრი ამბობს, - შესაბამისი "მესიჯები უკვე დაგზავნილია".

უკვე ცნობილია, რომ უშიშროების სამსახურის მიერ მომზადებულ-შედგენილ სიაში, ძირითადად, მოიხსენებიან: ნავთობპროდუქტების კონტრაბანდაში ჩართული პირები, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო მოღვაწეებიც.

# სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გაცნობებთ, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა თეთრი წყაროს, გარდაბანის, წალკისა და ახალციხის რაიონებში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვისათვის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მუდმივად მოგაწვდით ინფორმაციას ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ

**2003 წლის 15 აგვისტოსათვის**



**ქართული კომპანიების მიერ შესრულებულია 5 460 200 ლარის სამშენებლო სამუშაოები**

უშუალოდ ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმებულია საქართველოს 1960 მოქალაქე

**ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში**



2 000-ზე მეტი ოჯახისათვის გადახდილია 12 300 000 ლარი მიწისა და მოსავლის კომპენსაციისათვის

ნავთობსადენის გასწვრივ მდებარე რაიონებში ადგილობრივი მეწარმეებისაგან შეძენილია 923 000 ლარის ღირებულების ინერტული მასალა

ქართული კომპანიებისაგან შეძენილია 1 113 500 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა




ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძენილია 347 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი

ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი ბინების დაქირავების საზღაურად გადახდილია 238 000 ლარი

ბათუმისა და ფოთის პორტებში ტვირთების მიღებასა და გადამუშავებაში გადახდილია 5 478 100 ლარი

საქართველოს რკინიგზისათვის ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გადახდილია 4 559 800 ლარი




ქართული სამშენებლო კომპანიების მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხულია 277 170 ლარი

ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე საქართველოს 10 000-მდე მოქალაქემ სხვადასხვა ფორმით მიიღო მონაწილეობა პროექტისთვის აუცილებელი მომსახურეობის გაწევისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროცესში

**პროექტის ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოში ათასობით ოჯახს შეეხო**

---

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გაცნობებთ, რომ თქვენთვის მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება პროექტის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია.
თუ თქვენ გაგიჩნდათ რაიმე შენიშვნა, წინადადება ან კითხვა:
თქვენთვის მუშაობს მუდმივი სატელეფონო ხაზი **92-02-54 ყოველდღე 10:00-დან 18:00 საათამდე**

გარდა ამისა, იმ რაიონებში, სადაც გადის ნავთობსადენი დღეისათვის გახსნილია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლობები შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გარდაბანი, ელექტროქსელების შენობა, დავით აღმაშენებლის ქ. №74;
2. ქ. თეთრიწყარო, რაიონული გამგეობის შენობა, თამარ მეფის ქ. №34;
3. ქ. წალკა, რაიონული გამგეობის შენობა, არისტოტელეს ქ. №22;
4. ქ. ბორჯომი, რაიონული გამგეობის შენობა, რუსთაველის ქ. №1;
5. ქ. ახალციხე, სამხარეო ადმინისტრაციის შენობა, თამარაშენის ქ. №11

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისი თბილისში
სანაპიროს ქუჩა № 4
ტელ: 92-02-46/47

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი

### მოკლედ

## საუდის არაბეთში ჩასვლა სახიფათოა

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის მოქალაქეები საგანგებოდ გააფრთხილეს, რომ მათზე, შესაძლოა, თავდასხმა განახორციელონ, თუ ისინი საუდის არაბეთში ჩავლენ.

ეს გაფრთხილება ამერიკული და ბრიტანული დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით გავრცელდა, რომლის თანახმად, შესაძლოა, იმ თვითმფრინავებზე მიიტანონ იერიში, სადაც ბრიტანელი და ამერიკელი ტურისტები იქნებიან.

“ბრიტანულმა ავიახაზებმა” საუდის არაბეთის მიმართულებით ყველა რეისი გააუქმა. “ბრიტანულმა ავიახაზებმა” გადაწყვეტილება ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით მიიღო.

მოგვიანებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ხელახლა გააფრთხილა ამერიკის მოქალაქეები, რომ საუდის არაბეთში მგზავრობისაგან თავი შეიკავონ.

მაისში ერ-რიადში თვითმკვლელებმა სატვირთო მანქანა ააფეთქეს და მრავალი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირეს. იმავე თვეში მობილური საზენიტო-სარაკეტო სისტემიდან ამერიკულ სატრანსპორტო თვითმფრინავს ესროლეს საუდის არაბეთში. რაკეტა ოდნავ ასცდა მიზანს.

## ჩრდილოეთ კორეის შესახებ მოლაპარაკებები გაიმართება

გუშინ ჩინეთმა დაადასტურა, რომ აგვისტოს ბოლოს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების შესახებ ექვსმხრივ შეხვედრას უმასპინძლებს, რაც კორეის ნახევარკუნძულზე არსებული დაძაბულობის განმუხტვას ისახავს მიზნად.

ჩინეთის ხელისუფლების განცხადებით, მოლაპარაკებები 27-29 აგვისტოს გაიმართება. პეკინში ორივე კორეის, ჩინეთის, რუსეთის, ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლები ჩავლენ.

“ექვსმხრივი მოლაპარაკებების გამართვა პრობლემის მშვიდობიანად მოსაგვარებლად წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია”, - ნათქვამია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე.

“როგორც მასპინძელი, ჩინეთი მზად არის, რომ მონაწილე მხარეების თანამშრომლობას შეუწყოს ხელი, რათა კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობა და სტაბილურობა იქნას უზრუნველყოფილი”.

კორეის ნახევარკუნძულზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც გასული წლის ოქტომბერში ფხენიანმა აღიარა, რომ მან ბირთვული პროგრამები განაახლა.

აპრილში პეკინმა ამერიკისა და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლების შეხვედრას უმასპინძლა, მაგრამ უშედეგოდ.

ამის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებების ფორმატის გაფართოებას და მასში სამხრეთ კორეისა და იაპონიის მონაწილეობას მოითხოვდა. ჩრდილოეთ კორეა კი, თავის მხრივ, ვაშინგტონთან უშუალო მოლაპარაკებების გამართვას ცდილობდა, თუმცა, შემდეგ დათმობაზე წავიდა.

ჩრდილოეთ კორეას ორი მთავარი მოთხოვნა აქვს: აშშ-სთან თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმება და ეკონომიკური დახმარების მიღება. თუმცა, ბუშის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ულტიმატუმების ენით ლაპარაკს არ დაუშვებს და ფხენიანისაგან ბირთვული პროგრამების შეჩერებას უპირობოდ მოითხოვს.

# ახლო აღმოსავლეთში ძალადობა გრძელდება


მოკლული ჯიჰადისტი

REUTERS

გუშინ ებრაელმა ჯარისკაცებმა ქალაქ ჰებრონში, საკუთარ სახლში დაცხრილეს "ისლამური ჯიჰადის" ადგილობრივი ლიდერი. მოჰამედ სედერმა თავის დაცვა სცადა. მისი სახლის გარშემო ბრძოლა გაჩაღდა. თვითმხილველთა განცხადებით, როდესაც სედერი გამოასვენეს, მას ისევ ავტომატი ჰქონდა ჩაბღუჯული.

ისლამურმა ჯიჰადმა განაცხადა, რომ შურისძიება არ დააყოვნებს და იგი "მიწისძვრასავით გამანადგურებელი" იქნება.

გასულ კვირას ისრაელის არმიამ ჰამასის ორი ლიდერი დაცხრილა. საპასუხოდ, სამშაბათს ორმა პალესტინელმა კამიკაძემ აიფეთქა თავი და ორი ებრაელი მოკლა.

მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობაში ერთმანეთს ადანაშაულებენ, დიპლომატები კი იმაზე იმტვრევენ თავს, როგორ გადაარჩინონ საგზაო რუკა, რომლის განხორციელებაც ბოლოდროინდელმა ძალადობამ ეჭვქვეშ დააყენა.

# სადამი ტიკრიტის მახლობლად იმყოფება

გუშინ პოლკოვნიკმა ჯეიმს ჰიკიმ, რომელიც ერაყში სადამ ჰუსეინის დაჭერის ოპერაციას კურირებს, განაცხადა, რომ ექს-პრეზიდენტი მშობლიური ქალაქის ტიკრიტის მახლობლად იმყოფება. ამერიკელი სამხედროს მტკიცებით, სადამის გარშემო წრე ვიწროვდება და მას მალე დაიჭერენ.

“ახლა, ჩვენ ბევრ საინტერესო ინფორმაციაზე ვმუშაობთ და საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ის ახლო-მახლო იმყოფება, - აღნიშნა ჰიკიმ, - ის ამ მიდამოდან გაქცევას ცდილობს და მას მხარდამჭერები არ ჰყავს. ჩვენ მას გაცილებით მალე დავიჭერთ, ვიდრე ამას ელოდებით”.

ჰიკიმ არ ისურვა დეტალურად საუბარი იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ამერიკული ძალები ფლობენ. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ სადაზვერვო ინფორმაციისა და ლოგიკის მიხედვით, ჰუსეინი ტიკრიტის მახლობლადაა. ტიკრიტი ბაღდადიდან ჩრდილოთით, დაახლოებით, 150 კილომეტრით არის დაშორებული.

“ეს ქალაქი ყოველთვის მისი პოლიტიკური საყრდენი იყო. ხალხი, რომელიც მას იფარავდა ომის დროს, სწორედ ამ რეგიონიდან იყვნენ”, - განაცხადა ჰიკიმ.

სადამი უკვე ხუთი თვეა, რაც ამერიკელებს ემალება. მისი ვაჟები უდეი და ქუსაი კი ქალაქ მოსულში გასულ თვეს მოკლეს.

ამ კვირის დასაწყისში კოალიციის ძალებმა ყოფილი რესპუბლიკური გვარდიის მეთაური და სადამის პირადი მცველი დააკავეს. ამ ორ მაღალჩინოსანთან ერთად, ამერიკელებმა შედარებით დაბალი ჩინოვნიკებიც დაიჭირეს.

ჰიკის თქმით, კოალიციის ძალები ღამით განსაკუთრებით გაფაციცებულები არიან, რათა სადამის გადაადგილება არ გამოეპაროთ.

# სომხეთის ოპოზიციის ლიდერის ძმა გაათავისუფლეს

სომხეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის არამ სარგსიანის ძმა, რომელსაც სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის ხელმძღვანელის ტიგრან ნაღდალიანის მკვლელობაში ედებოდა ბრალი, სამი დღის წინ გაათავისუფლეს.

ცნობილი პოლიტიკოსის უმცროსი ძმა ბიზნესმენი არმენ სარგსიანი მარტში დააკავეს. პროკურორების მტკიცებით, არმენმა ტიგრან ნაღდალიანის მკვლელობა შეუკვეთა. მანამდე, სამართალდამცველებმა ჯონ ჰარუთიუნიანი დააკავეს, მთიანი ყარაბაღის მკვიდრი, რომელსაც მკვლელობის შესრულებაში დასდეს ბრალი.

სარგსიანის დაკავების დროს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ახალი დამთავრებული იყო და ოპოზიციამ ცნობილი პოლიტიკოსისა და პრეზიდენტ კოჩარანის მოწინააღმდეგის ძმის დაჭერა პოლიტიკურ ზეწოლად აღიქვა.

რამდენიმეთვიანი პროცესის შემდეგ, მოსამართლემ დაცვის პოზიცია გაიზიარა და სარგსიანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

სარგსიანს მხარს უჭერდა ჰარუთიუნიანიც, რომელსაც, ბრალდების მტკიცებით, ბიზნესმენმა 75 000 ამერიკული დოლარი გადაუხადა. სარგსიანის თქმით, ჰარუთიუნიანმა მას შანტაჟი მოუწყო და ფულიც იმიტომ გადაუხადა.

პროკურორების ვერსიით, ნაღდალიანის მკვლელობა სარსგიანმა იმიტომ შეუკვეთა, რომ ეჭვი ჰქონდა თავისი ძმის მკვლელობაში მის მონაწილეობზე. არმენ სარსგიანის უფროსი ძმა ვაზგენი სომხეთის თავდაცვის მინისტრი იყო და პარლამენტში 1999 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად მოკლეს. მაშინ მასთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე კარენ დემირჭიანიც დაიღუპა. ნაღდალიანი პრეზიდენტ კოჩარიანის ერთგულ კაცად იყო ცნობილი. სომხეთის ოპოზიციაში ბევრი კოჩარიანს პარლამენტში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორად თვლის.

# პირველი დინასტიის წარმატებული სტარტი

პირველი გვერდიდან

ყველაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე რუსმა ექსპერტებმა გასცეს, რომელთაც "ოჯახის" შიგნით ძალაუფლების გადაცემის დიდი გამოცდილება აქვთ (იმ განსხვავებით, რომ თუ ელცინისათვის "ოჯახი" თანამზრახველთა ჯგუფს ნიშნავდა, ოჯახის ალიევისეულ განმარტებაში სისხლით ნათესაობა აუცილებელი კრიტერიუმია, იმიტომ, რომ აზერბაიჯანში სხვანაირად არც შეიძლება).

"ამ ქვეყნებმა ვერ შეძლეს ინსტიტუტებზე დაფუძნებული სტაბილური სისტემის შექმნა. ამიტომ ისინი პიროვნებებს უნდა დაეყრდნონ. აზერბაიჯანში პოლიტიკას საფუძვლად კლანური ურთიერთობები უდევს. პოლიტიკური კულტურა ძალზე პატრიარქალურია. ხალხი სახელმწიფოს უყურებს, როგორც დიდ ოჯახს და სურს, რომ მის სათავეში მამა იდგეს", – წერს მოსკოვის პოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორი სერგეი მარკოვი.

პოლიტიკური ექსპერტი ალექსანდრ არხანგელსკი უფრო შორსაც მიდის და წერს: "მოცემულ ისტორიულ კონტექსტში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში ავტორიტარიზმის ალტერნატივა არის არა დემოკრატია, არამედ ყოველგვარი ხელისუფლების მოშლა, ანარქია და სრული კოლაფსი".

ამგვარ მოსაზრებას დასავლეთშიც იზიარებენ. "[უმცროს ალიევს] რომ არ აელო ხელში ძალაუფლება, ქვეყანა კატასტროფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა", – წერს ამერიკის ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში და ილჰამის ახლო მეგობარი სტენლი ესკუდერო.

ალიევის ყოფილი თანშემწის, ელდარ ნამაზოვის აზრით, ჰეიდარ ალიევის წასვლის შემთხვევაში, საქმეს ილჰამიც ვერ უშველის: "ჰეიდარ ალიევმა შექმნა ზუსტად ისეთივე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, როგორიც ბრეჟნევის დროს გვქონდა. თუ არ ჩავთვლით დემოკრატიის დეკორაციებს, მისი პარტია სკკპ-ს ზუსტი ასლია. როგორც კი ის მოკვდება, ეს სისტემა დაიშლება, იმიტომ, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელიც მის შენარჩუნებას შეძლებს. მთელი სისტემა ალიევის ავტორიტარიზმზე, ძალადობასა და ქარიზმაზე იდგა."

ალიევის შექმნილ სისტემაში ყველაფერი ერთი კლანის საკუთრებაა. ისინი ინიშნებიან მთავრობაში ყველაზე მაღალ და ყველაზე შემოსავლიან პოსტებზე; მათ ირჩევენ საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში; ისინი არიან მოსამართლეები, პროკურორები და პოლიციის მაღალჩინოსნები; და ბოლოს, ისინი ფლობენ ან აკონტროლებენ ქვეყანაში ყველაზე მომგებიან ბიზნესებს, მათ შორის ნავთობის მოპოვებას. მათ იციან, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში არა მხოლოდ თანამდებობებს დაკარგავენ, არამედ - "კერძო საკუთრებასაც". ამიტომ, ძალაუფლებას მშვიდობიანად არასოდეს დათმობენ. ახალი პრემიერ-მინისტრი პირდაპირ აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლას. ამ ფონზე, იმის იმედი, რომ არჩევნები შეიძლება ობიექტურად ჩატარდეს, არ არსებობს.

მეორე მხრივ, სანამ ეს კლანი ერთიანობას შეინარჩუნებს, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა მის გამოწვევას ვერ შეძლებს. კლანის ერთიანობის გარანტი კი მხოლოდ ილჰამ ალიევი შეიძლება იყოს, ამიტომ, იგი ქვეყნის სტაბილურობის გარანტადაც მიიჩნევა. თანაც, რაკი კლანი თავს დაცულად გრძნობს, იგი ოპოზიციურ პარტიებსა და პრესას არსებობის საშუალებას აძლევს.


ილჰამ ალიევი – დინასტიის გამგრძელებელი

ცხადია, რომ თუ კლანი დაირღვა და მის ნაწილებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყო, ეს არ იქნება ბრძოლა ძალაუფლებისათვის დემოკრატიული მეთოდებით, არამედ ე.წ. "კონკურენტული ავტოკრატიზმი" და ამ ბრძოლაში შეიძლება ჩართული აღმოჩნდნენ აშშ, რუსეთი, თურქეთი და ირანი.

ამგვარი დაპირისპირება და აზერბაიჯანის დესტაბილიზაცია პირველ სამს ხელს არ უნდა აძლევდეს. აშშ-სათვის აზერბაიჯანი მნიშვნელოვანია, როგორც კასპიის ნავთობის საბადოების გასაღები და პარტნიორი ანტიტერორისტულ კოალიციაში; რუსეთი უფრთხის არეულობას, ისედაც არეული ჩრდილოეთ კავკასიის მისადგომებზე; ხოლო თურქეთი აზერბაიჯანს ერთ-ერთ ყველაზე მეგობრულ სახელმწიფოდ მიიჩნევს. ალიევის პრემიერად დანიშნვას აღტაცებით შეხვდნენ აზერბაიჯანში მომუშავე დასავლური ნავთობკომპანიებიც.

და მაინც, ბევრს აწუხებს კითხვა, თუ რამდენად შეძლებს ალიევი კლანის ერთიანობის შენარჩუნებას. ანალიტიკოსები ერთხმად აცხადებენ, რომ ილჰამი პოლიტიკაში სრულიად გამოუცდელია. ესკუდეროს თქმით, სულ რამდენიმე წლის წინ მას მხოლოდ აზარტული თამაშები და ქალები აინტერესებდა, თუმცა მას შემდეგ შეიცვალა.

ბაქოელი ჟურნალისტის, შაჰინ რჟაევის აზრით, უმცროსი ალიევის გამოუცდელობას ბოლო წლებში მომხდარი ორი ფაქტიც ადასტურებს: ჯერ იყო და ილჰამმა დიდი კამპანია წამოიწყო აზერბაიჯანის საკითხებში ევროსაბჭოს მომხსენებლის, ანდრეას გროსის წინააღმდეგ. ვითარება ისე გამწვავდა, რომ მომხსენებელს ქვეყანაში არ უშვებდნენ. მაგრამ, ევროსაბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი გროსს და ალიევიც იძულებული გახდა, უკან დაეხია.

უფრო ადრე მან სცადა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფუად მუსაევის თანამდებობიდან გადაყენება, მაგრამ ერთადერთი, რასაც მიაღწია, ის იყო, რომ მისი ქვეყანა კინაღამ ფიფა-დან გარიცხეს. ამ შემთხვევაშიც, იგი იძულებული გახდა უკან დაეხია.

ილჰამის ოპონენტებიც აცხადებენ, რომ იგი გაცილებით უფრო ადამიანურია, ვიდრე მამამისი. მამისგან განსხვავებით, შვილს ჰყავს მეგობრები, აქვს იუმორის გრძნობა და ძალიან მშვიდია. ილჰამის მეგობარი ანარ მამედხანოვი ამბობს: "მე ვფიქრობ, რომ ის ძალიან წესიერი, წყნარი და მტკიცე ადამიანია. რაც მე მას ვიცნობ, ერთხელაც არ აუწევია ხმა. თუმცა ვინ იცის, ასეთი სიწყნარე შეიძლება, მისი მთავარი ნაკლი იყოს".

მალე გამოჩნდება, რამდენად შეძლებს უმცროსი ალიევი ღირსეულად შეცვალოს მამამისი და ქვეყნის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემა მოაგვაროს. ძალიან ბევრი ადამიანი ყურადღებით ადევნებს თვალს პირველ დინასტიურ ექსპერიმენტს. მათ შორის განსაკუთრებით გაფაციცებულნი არიან უზბეკეთის პრეზიდენტის ვაჟი, ყაზახეთის პრეზიდენტის ქალიშვილი და ყირგიზეთის პრეზიდენტის მეუღლე, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს ოჯახის უფროსის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ჩასანაცვლებლად ემზადებიან.

## ევროკავშირი სომეხ და აზერბაიჯანელ ბავშვებს ქართულ ენას ასწავლის

გუშინ ევროკავშირმა ოფიციალურად განაცხადა თავისი ახალი პროექტის დაწყების შესახებ, რომლის მიზანიც ქართულ საზოგადოებაში სომეხი და აზერბაიჯანელი მოზარდების ინტეგრირება იქნება.

ევროკავშირმა 840 ათასი ევრო გამოყო ახალი პროექტისათვის, რომლის ფარგლებშიც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რაიონებში ორ-ორი ახალგაზრდული ცენტრი აშენდება.

ცენტრებში ადგილობრივ ახალგზარდობას შეასწავლიან ქართულ ენას, მცირე ბიზნესის მართვას, ბუღალტერიას, ხელობასა და ხელსაქმეს. სამი წლის განმავლობაში კურსებს 1600-მდე მოზარდი გაივლის.

ახალგაზრდულ ცენტრებთან ერთად აშენდება სპორტული სკოლებიც, სადაც რაგბისა და ფრენბურთის წრეები გაიხსნება.

ევროკავშირი იმედოვნებს, რომ სპორტული შეჯიბრებებისა და ხელოვნების ფესტივალების საშუალებით, ხელს შეუწყობს როგორც სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების დამეგობრებას, ისე საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრირებას.

პროექტის პრეზენტაციაზე ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, ტორბენ ჰოლცემ განაცხადა, რომ ევროკომისიის გადაწყვეტილებით, დემოკრატიის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობისათვის საქართველო ყოველწლიურად ორ მილიონ ევროს მიიღებს.

## თურქეთი ევროკავშირში მალე ვერ გაწევრიანდება

“როიტერის” მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ევროკავშირმა თურქეთთან გაწევრიანების შესახებ ოფიციალური მოლაპარაკებები 2005 წლისთვის დაიწყოს, იმის მიუხედავად, რომ თურქეთმა მმართველობის სისტემის ლიბერალიზებისათვის უამრავი რეფორმა გაატარა.

ანკარას ბრიუსელში შეჰპირდნენ, რომ თურქეთთან გაწევრიანების შესახებ ოფიციალურ მოლაპარაკებებს ან 2004 წლის ბოლოს, ან 2005 წლის დასაწყისში გამართავდნენ. ოღონდ იმ პირობით, რომ თურქული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება მოხდებოდა. ბრიუსელის მთავარ მოთხოვნებს შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები 12 მილიონი ქურთისათვის კულტურული უფლებების მინიჭება და პოლიტიკურ ცხოვრებაზე სამხედროთა გავლენის შემცირება იყო. ეს ორივე მოთხოვნა ანკარამ პირნათლად შეასრულა.

თუმცა, ევროპაში არსებული საფინანსო ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ცენტრების 39 ექსპერტის გამოკითხვამ ცხადყო, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში, დაახლოებით, 40 პროცენტიანი შანსი არსებობს იმისა, რომ ევროკავშირი თურქეთის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას მალე დათანხმდეს.

“თურქეთმა შთამბეჭდავი პროგრესი განიცადა და ევროკავშირი თურქეთის გაწევრიანებას უკვე სერიოზულად განიხილავს, - განაცხადა გერმანიის ერთ-ერთი ანალიტიკური ცენტრის წარმომადგენელმა დაგმარ ალპენმა, - თუმცა, 2004 წლის ბოლოს მოლაპარაკებების დაწყება მაინც ნაკლებად სავარაუდოა. ჯერ კიდევ ბევრი რამ საჭიროებს რეფორმირებას თურქეთში. ასე რომ, გაწევრიანება შედარებით გვიან მოხდება”.

სხვების აზრით, მართალია, თურქეთმა ძალზე მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, მაგრამ ბრიუსელი შეეცდება, დარწმუნდეს, რომ აღნიშნული ცვლილებები ცხოვრებაში რეალურად ხორციელდება.

“როიტერის” მიერ გამოკითხული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თურქეთის გაწევრიანება, სავარაუდოდ, 2012 წლისთვის მოხდება.

## ამერიკელი საზღვაო ქვეითები ლიბერიაში შევიდნენ

ადგილობრივი მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ამერიკელ და ნიგერიელ ცისფერჩაფხუტიანებს, რომლებმაც მონროვიაში ის პოზიციები დაიკავეს, რომლებიც ადრე ამბოხებულებს ეკავათ.

"ჩვენ არა გვაქვს მიზეზი ეჭვი შევიტანოთ ამერიკელთა კეთილ ზრახვებში, ამიტომ, პირობის თანახმად, ქალაქს დავტოვებთ" – განაცხადეს ამბოხებულთა ლიდერებმა.

ქვეყანა უკვე დატოვა ყოფილმა პრეზიდენტმა ჩარლზ ტეილორმა. მის მოვალეობას ამჟამად ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ბლა ასრულებს. ოფიციალურად, წინააღმდეგობა პრეზიდენტის მომხრეებმაც შეწყვიტეს, თუმცა ტეილორის ერთგული რამდენიმე დაჯგუფება ბრძოლას აგრძელებს.

სამშვიდობო მანდატით ქვეყანაში 200 ამერიკელი საზღვაო ქვეითი და 2100 ნიგერიელი ჯარისკაცი შევიდა. ამჟამად ისინი დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორებასა და ლიბერიაში ჰუმანიტარული დახმარების შეტანის ორგანიზებას ცდილობენ.

## სიცხემ 3000 ადამიანი იმსხვერპლა

საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, არნახულმა სიცხემ, რომელიც უკვე ორი კვირაა გრძელდება, პირდაპირ და არაპირდაპირ 3000 ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთში შედარებით აგრილდა, ჰიპერთერმიისა და დეჰიდრატაციის ნიშნებით საავადმყოფოებს უამრავი ადამიანი აკითხავს. მათი უმეტესობა ხანდაზმულია.

"ის, რაც ხდება, ნამდვილი ეპიდემიაა", – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ფრანსუა მატეიმ.

საავადმყოფოებმა, რომლებიც პაციენტებს ველარ იტევენ, თავიანთ ტერიტორიაზე სპეციალური, კონდიცირებული კარვები დადგეს. სამედიცინო პერსონალი შვებულებებიდან უკან გამოიძახეს და ახლა ისინი შესვენების გარეშე მუშაობენ.

ბოლო ორი კვირის მანძილზე პარიზში ტემპერატურამ 41 გრადუსს მიაღწია, რასაც ხანგრძლივი გვალვაც ერთვის თან. ძლიერმა სიცხემ თითქმის მთელი ევროპა მოიცვა.

## კენიელი ქალები ბრიტანელი ჯარისკაცების დასჯას მოითხოვენ


კენიელი ქალები ბრიტანეთის საელჩოს წინ

REUTERS

ათობით კენიელმა ქალმა ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კენიაში ბრიტანელი ჯარისკაცების წინააღმდეგ სარჩელი წარუდგინა. ქალები ამტკიცებენ, რომ ჯარისკაცებმა ისინი სხვდასხვა დროს გააუპატიურეს. უმაღლესი კომისრის რეზიდენციის წინ მოსულ ქალებს თან თავიანთი მულატი ბავშვები ჰყავდათ მოყვანილი.

კენიელების მტკიცებით, ქალების გაუპატიურება უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე სისტემატურად ხდება. კენიაში ბრიტანელი ჯარისკაცების საწვრთნელი ბაზაა განლაგებული.

“შეხედეთ ამ ბავშვების კანის ფერს. მამამისი ბრიტანელი ჯარისკაცია, რომელმაც გამაუპატიურა”, - გაჰყვიროდა ერთი ქალი.

უმაღლეს კომისარს ქალების ერთმა ნაწილმა მათი ბავშვების აღზრდისა და განათლების ხარჯების გაღება მოსთხოვა, ნაწილმა კი - დამნაშავე ჯარისკაცების პასუხისგებაში მიცემა. სულ კომპენსაციის გაცემა 600-მა კენიელმა ქალმა მოითხოვა.

კენიელები ჩივიან, რომ მათ საჩივრებს ბრიტანეთის ხელისუფალნი ყურადღებას არ აქცევენ, რაც დანაშაულის ჩასადენად სხვებსაც სტიმულს აძლევს.

# ბერტი ფოგტსი პოლიციის დასამშვიდებელი გახდა


ბერტი ფოგტსი – ექს-მეუღლე

ნინო პირველი

ცოტა ხნის წინათ მთელი გერმანია გაოცებული დარჩა, როცა გამოირკვა, რომ ბუნდესნაკრების ექს-თავკაცი ბერტი ფოგტსი და მისი მეუღლე მონიკა ოცდაოთხწლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაყრას აპირებდნენ. ფოგტსი და მონიკა გერმანიაში იდეალურ წყვილად მიიჩნეოდა. მათ თითქმის მეოთხედი საუკუნე ისე გაატარეს ერთად, რომ ერთხელაც კი არ გახვეულან რაიმე სკანდალში, არც პაპარაცების ვერაგი ფოტოკამერების მსხვერპლნი გამხდარან ოდესმე. მონიკა ყოველთვის მხარში ედგა ბერტი ფოგტსს, მათ ერთად გადაიტანეს ის გერმანიიდან განდევნის სიმწარე და ერთად წავიდნენ შოტლანდიაში. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ მონიკამ ურჩია მეუღლეს ნაკრებში ოლივერ ბირჰოფის მიწვევა, დაარწმუნა, ფეხბურთელს დიდი პოტენციალი აქვს და მისით მეტად კმაყოფილი დარჩებით. ფოგტსმა ცოლის ინტუიციას არ უმტყუნა: ბირჰოფმა ფინალში "ოქროს გოლი" გაიტანა და გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდა.

ბერტი ფოგტსმა თავისი მომავალი მეუღლე თვითმფრინავში გაიცნო. მონიკა მაშინ "ლუფტჰანზის" სტიუარდესა იყო. იმ დროისთვის ბერტი ფოგტსს უკვე ჯიბეში ედო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და თავი ამაყად ეჭირა, მაგრამ "ლუფტჰანზის" მომხიბვლელი სტიუარდესის ხიბლს მაინც ვერ გაუძლო. ისინი 1979 წლის 10 ივნისს დაქორწინდნენ და კორშენბროიხში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის პატარა ქალაქში დასახლდნენ. ოცდაოთხი წლის განმავლობაში ყველაფერი რიგზე იყო. მონიკა, ბერტი და მათი პატარა ვაჟიშვილი იუსტინი სრულ ჰარმონიაში ცხოვრობდნენ. როცა ბერტი ფოგტსი შოტლანდიის ნაკრების ხელმძღვანელად მიიწვიეს, ოჯახი გლაზგოში გადავიდა საცხოვრებლად. ფოგტსებმა გლაზგოს პრესტიჟულ უბან „ნიულენდში“ მდიდრული ვილა იქირავეს 600000 ევროდ. სახლში ოთხი საძინებელი, სამი მისაღები ოთახი და ორი აბაზანაა. ახლა ამ მშვენიერ აპარტამენტებში მონიკა მარტო დარჩა, ბერტი ფოგტსი გერმანიაში დაბრუნდა. მონიკასთან ერთად არიან მისი ერთ-ერთი გერმანელი მეგობარი ქალი და 15 წლის ვაჟიშვილი იუსტინი. არავინ იცის, რა მოხდა ცოლ-ქმარს შორის, რატომ გადაწყვიტეს მათ ცალ-ცალკე ცხოვრება. არც ბერტი და არც მონიკა ამ თემაზე არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ბერტი ფოგტსს საერთოდ არ სურს ურთიერთობა გერმანულ პრესასთან. მობილური გამორთო, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარს ამბობს და მხოლოდ თავის ადვოკატებს ელაპარაკება. იურიდიული კონსულტაციის მისაღებად მიუნხენშიც კი ჩავიდა, სადაც მაშინვე ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერავინ ვერაფერი ათქმევინა, ისიც კი ვერ გაიგეს, რატომ გახდა საჭირო გასულ პარასკევს ფოგტსების სახლში პოლიციის გამოძახება.

როგორც გერმანული ჟურნალი „ბუნტე“ იუწყება, პარასკევს, 1 აგვისტოს ბერტი ფოგტსი და მისი ვაჟი იუსტინი მანქანით მივიდნენ გლაზგოს ვილაში, სადაც მათ მონიკა ელოდებოდა. არავინ იცის, რატომ ატყდა ჩხუბი ცოლ-ქმარს შორის. ბოლოს დავამ ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ მონიკა იძულებული გახდა, ტელეფონის ყურმილი აეღო და სამი ცხრიანი აეკრიფა. 999 შოტლანდიაში პოლიციის ნომერია. ღამის ათ საათზე ფოგტსების ვილას პოლიციის მანქანა მიადგა, მაგრამ სამართალდამცველებს დიდი გარჯა აღარ დასჭირვებიათ, ბერტი და მონიკა უკვე დამშვიდებულები იყვნენ და პოლიციელები უკან გაბრუნდნენ ისე, რომ არავინ დაუპატიმრებიათ.

პოლიციის მანქანის გამოჩენა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მეზობლები ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ფოგტსების სახლიდან გამოსულ პოლიციელებს და აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ. "ძალიან გამიკვირდა, როცა პოლიცია დავინახე. ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი უკვე დაშორებულები იყვნენ და ვერ გავიგეთ, რა ჰქონდათ სანერვიულო", - თქვა ერთმა მეზობელმა. "რომ მანქანა და სამი ფორმიანი პოლიციელი დავინახე, ვერ გავიგე, რა ხდებოდა. ყველაფერი ისე უცებ მოხდა", - განაცხადა მეორემ. მოკლედ, ფოგტსებმა მეზობლები ძალიან ააფორიაქეს. რაზე იჩხუბეს, გაურკვეველი დარჩა.

"ბილდის" ჟურნალისტების ვარაუდით, ჩხუბის და გაყრის მიზეზი ბერტი ფოგტსის ღალატი უნდა იყოს. ბოლო პერიოდში მონიკას პრობლემები ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. საავადმყოფოშიც იწვა. ალბათ, ამ დროს "მაჭერტებში" სხვა ქალი მონახა - ჭორაობენ გერმანიაში. დანამდვილებით კი არავინ იცის, რა ხდება.

მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი: მალე გაყრის პროცესი დაიწყება, რაც ძალიან გაართულებს საქმეს, მით უმეტეს, რომ საქმე ქონებას ეხება. ბერტი ფოგტსი საკმაოდ მდიდარი კაცია. გერმანიის ნაკრებში, ლევერკუზენის "ბაიერში" და ქუვეითის ეროვნულ გუნდში მუშაობის წყალობით მან სერიოზული თანხა დააგროვა. გაყრა მის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად დააზარალებს. თუ გაყრის პროცესი შოტლანდიაში წარიმართება, მაშინ ბერტი ფოგტსი მძიმე სიტუაციიდან შედარებით იოლად გამოძვრება, რადგან შოტლანდიური კანონების მიხედვით ცოლს ქმრის ქონების მხოლოდ მესამედი ეკუთვნის, გერმანიაში ბერტის ბევრად მეტის დათმობა მოუწევს. ამას გარდა, ისიც გასარკვევია, ვისთან უნდა დარჩეს ფოგტსების ვაჟი იუსტინი, რომელიც, ჯერჯერობით, დედასთან ცხოვრობს და გლაზგოს სკოლაში დადის. ბერტი ფოგტსი კი აცხადებს, ჩვენ მეგობრებად გვსურს დარჩენაო, მაგრამ როგორც ჩანს, მონიკა სულაც არ არის კმაყოფილი იმ თანხით, რასაც მას ექს-მეუღლე სთავაზობს და ეს ჩხუბიც ამან გამოიწვია. მოკლედ, ჯერ ყველაფერი წინაა, ბერტი ფოგტსს სერიოზული ბრძოლა მოელის თავისი ქონების გადასარჩენად.

## TV-სპორტი

### პარასკევი. 15 აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "კიევო" - "ინტერი"
15:00 "FUTBOL MUNDIAL"
15:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. "რეალი" – "ბავარია"
17:15 "საფეხბურთო სამზარეულო"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ევერტონი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ატლეტიკი"
21:35 "პოსტსკრიპტუმი"
22:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:20 "გაიტანე!"
22:35 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ლაციო"
00:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლივერპული"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 17:00, 19:50, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:00 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
15:25 "ჩქაროსნული სამყარო"
15:55 "ჰოკეის საღამო"
16:25 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
17:30 კალათბურთი. NBA ჩემპიონატი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები
20:05 ტაილანდური კრივი
21:00 "სპორტული გლობუსი"
21:30 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 "ნადირობის სეზონი"
22:55 მძლეოსნობა. IAAF Golden League ციურიხში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი
12:30 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
14:15 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
15:45 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან-პრი
16:15 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან-პრი
17:00 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან-პრი
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
20:00 ველორბოლა. ვუელტა
21:00 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
23:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
00:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი
01:30 რალი რეიდი. მსოფლიო თასი ესპანეთში
01:45 ახალი ამბები
02:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
03:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
03:15 ექსტრემალური სპორტი
03:45 ექსტრემალური სპორტი
04:15 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# ლეგიონერი ლეგიონის გარეშე: სად ითამაშებს გიორგი ქინქლაძე?

მიხეილ აბაიშვილი

*ქართველი ფეხბურთელი, გიორგი ქინქლაძე, რომელიც სტატუსით "თავისუფალი აგენტია" და ნებისმიერ გუნდს მისი გადაბირება სატრანსფერო თანხის გადახდის გარეშე, უსასყიდლოდ შეუძლია, ამჟამად უგუნდოდაა. უფრო სწორად, გიორგი პორტსმუთში იმყოფება და პრემიერლიგაში ამ ქალაქის ახლახანს აღზევებულ გუნდში ვარჯიშობს. თუმცა, მისი "პორტსმუთში" დარჩენაზე საუბარი, როგორც ჩანს, ნაადრევია. ხვალ პრემიერლიგა აიღებს სტარტს და თუ პორტსმუთელებს ქინქლაძის დატოვება სურთ, ეს საკითხი დღეს უნდა გადაწყვიტონ. გუშინ "24 საათი" ბრიტანეთში მყოფ გიორგი ქინქლაძეს ტელეფონით დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა.*


*გიორგი ქინქლაძე ვარიანტს ელოდება*

- ჩემი ძველი ნაცნობი, ჯიმ სმიტი "პორტსმუთის" სამწვრთნელო შტაბშია და სწორედ მას მივმართე თხოვნით – სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ჩემთვის ამ გუნდთან ერთად ვარჯიშის საშუალება მოეცათ. ამჟამად სწორედ "პორტსმუთთან" ერთად ვემზადები.

**- ცნობილია, რომ "პორტსმუთის" რიგებში ორი ამხანაგური შეხვედრის ჩატარებაც მოასწარი. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა შენთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს?**

- ვერაფერს გეტყვი. მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, ამ შეხვედრებში ურიგოდ არ მითამაშია, ოპტიმალური ფორმისგან მაინც შორს ვარ, რადგან გვიან დავიწყე ვარჯიში. "პორტსმუთის" ფეხბურთელებმა უკვე 6 ამხანაგური ტესტ-მატჩი ჩაატარეს, მე მხოლოდ ორი მოვასწარი. "პორტსმუთის" ხელმძღვანელობა არც მე და არც ჩემს აგენტს, ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე არ დაგველაპარაკებია.

**- თავად შენ თუ გაქვს "პორტსმუთში" დარჩენის სურვილი?**

- ახლა უგუნდოდ ვარ და თუ ჩემი დღევანდელი მასპინძლები რეალური წინადადებით მომმართავენ, ალბათ, დავთანხმდები. თუმცა, ამისთვის არც ისე ბევრი დრო რჩება, რადგან ზეგ პრემიერლიგის თამაშები იწყება და თუ ჩემი დატოვება სურთ, დღეს, ან, ხვალ მაინც უნდა შემომთავაზონ კონტრაქტი. ყოველ შემთხვევაში, მე მხოლოდ ამ ვარიანტზე არ ვფიქრობ და ჩემი პირადი აგენტი შესაფერისი ვარიანტის ძიებაშია.

**- იმ შემთხვევაში, თუ "პორტსმუთის" ვარიანტი გამოირიცხა და სხვა რომელიმე დასავლურ გუნდთანაც ვერ მოასწარი კონტაქტის დამყარება, ხომ არ არის სავარაუდო, რომ საქართველოში დაბრუნდე სათამაშოდ?**

- ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კრიტიკას ვერ უძლებს და ჩემს სპორტულ ამბიციებს არ შეესაბამება. არ გეგონოთ, თითქოს კლუბის გამოძებნა ჩემთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდეს. არა ერთი და ორი გუნდი მეპატიჟება, უბრალოდ, ჩემთვის სასურველი ვარიანტი ჯერ არ გამოჩნდა. ამიტომ, ამ ეტაპზე საქართველოში დაბრუნებას გამოვრიცხავ.

# "დინამოში" საკადრო ცვლილებებია

მოგეხსენებათ, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დათანხმდა "დინამოს" ფეხბურთელების თხოვნას – გამხდარიყო კლუბის პრეზიდენტი და ახალ პოსტზე მოვალეობების შესრულებასაც შეუდგა. "24 საათი" უკვე წერდა, რომ "დინამოში" გაუქმდა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა, რომელსაც გია ფირცხალავა იკავებდა. იგი მადლობით გაუშვეს გუნდიდან.

გუშინ ცნობილი გახდა ახალი საკადრო ცვლილებების შესახებაც. კერძოდ, თანამდებობიდან გაათავისუფლეს "დინამო 2"-ის მთავარი მწვრთნელი, ოთარ კორღალიძე და მისი თანაშემწეები – მალხაზ ლაცაბიძე და მამუკა აბუსერიძე. კორღალიძის ნაცვლად, "დინამო" ფარმ-კლუბს დღეიდან გია გეგუჩაძე უხელმძღვანელებს.

აქვე ვიტყვით, რომ "დინამოს" პრეს-ატაშის, ლევან სალუქვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, "დინამოს" ტოვებს და სამშობლოში, ბრაზილიაში მიემგზავრება ბრაზილიელი ნახევარმცველი, ტესერი. ეს ფეხბურთელი თავის კლუბს, "კურიტიბას" უბრუნდება.

"შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ ბრაზილიელები "გათავისუფლების ფურცლის" გამოგზავნას აგვიანებდნენ. ბოლო მომენტში კი მათ აქამდე უცნობი, ახალი მოთხოვნები წამოაყენეს, რაც ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა", - განუცხადა "24 საათს" სალუქვაძემ.

საკადრო ცვლილებებმა გვერდი არც საკალათბურთო თბილისის "დინამოს" აუარა, სადაც პრეზიდენტის პოსტი, საფეხბურთოს მსგავსად, ბადრი პატარკაციშვილმა დაიკავა. ყოფილი პრეზიდენტი, ამირან სხიერელი კლუბში დარჩება, თუმცა, რა ფუნქციებით, ჯერჯერობით უცნობია. პატარკაციშვილმა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ყოფილი კალათბურთელი, კახა ნუცუბიძე დანიშნა, რომელიც გუშინ პირველად მივიდა დილმის საწვრთნელ ბაზაზე და დაკისრებული მოვალეობების შესრულებას შეუდგა.

საკალათბურთო "დინამოს" პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადებით, "კლუბში სრული რეორგანიზაცია განხორციელდება და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ "დინამო" ევროპული დონის კლუბად ჩამოყალიბდეს და ძველი დიდება დაიბრუნოს."

## რალი

# "შევრონი რალი საქართველო 2003"-ის ქარავანი დაიძრა

გიგა გურასაშვილი

ორი წლის განმავლობაში საქართველოს საავტომობილო ფედერაცია (სსფ) რალიში ევროპის ჩემპიონატის "კანდიდატ ღონისძიებებს" მასპინძლობდა. ამ ხნის განმავლობაში მთელი ძალისხმევა იქეთკენ იყო მიმართული, რომ "კანდიდატ ღონისძიებას" საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) კალენდარში ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური ეტაპის სტატუსი მოეპოვებინა. სსფ-ის გარჯა დაუფასდა. დღეიდან, 17 აგვისტოს ჩათვლით, ჩვენი ქვეყანა "შევრონი რალი საქართველო 2003"-ს უმასპინძლებს. აღნიშნულ ასპარეზობასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ და შეჯიბრების ორგანიზატორებმა გუშინ თბილისის მერიის სხდომათა დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს. ძირითად თემაზე გადასვლამდე სსფ-ის გენერალურმა მდივანმა შალვა ოგბაიძემ, რომელიც თბილისის საკრებულოს წევრი და, ამასთან, შეჯიბრების მონაწილეც გახლავთ, ჟურნალისტებს მადლობა უთხრა, - საქართველომ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის უფლება რომ მოიპოვა, ამაში წვლილი თქვენც მიგიძღვითო. მასმედიის წარმომადგენლებს გარჯა შეჯიბრების ბულგარელმა დირექტორმა ალექსანდრე ბოშნაკოვმაც დაუფასა. ვინც ადრეულ ეტაპებს ადევნებდა თვალყურს, მათთვის ბულგარელი სტუმარი უცხო არ უნდა იყოს. 2001 და 2002 წლის კანდიდატ ღონისძიებებზე ბოშნაკოვი FIA-ს ოფიციალური წარმომადგენელი გახლდათ. "ვფიქრობ, საქართველომ დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ეტაპის მასპინძლობის ოფიციალური სტატუსი. სსფ-ის ძალისხმევით, პროგრესი ყოველწლიურად იგრძნობოდა. თავად განსაჯეთ, ორ წელიწადში ევროპის ჩემპიონატის ეტაპის მასპინძლობის უფლების მოპოვება დიდი მიღწევაა,"- გვითხრა ბოშნაკოვმა.

ევროპის ჩემპიონატის "კანდიდატი ღონისძიება" ოფიციალური სტატუსისგან იმით განსხვავდება, რომ "კანდიდატ ღონისძიებაზე" ავტომრბოლელები ქულებს ვერ ღებულობენ, სხვა მხრივ კი არანაირი სხვაობა არაა. ეს, რაც შეეხება წმინდა სპორტულ თუ სანახაობრივ მხარეს, ხოლო ვისაც შემდგომ ეტაპებზე ასპარეზობის სურვილი და წარმატების პრეტენზია აქვს, უმთავრესი ქულების მოპოვებაა.

როგორც სსფ–ის პრეზიდენტმა და შეჯიბრების მონაწილემ, ვიქტორ თოდაძემ გვითხრა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ისტორიაში საქართველო პირველია, რომელსაც ასეთი პატივი ხვდა წილად. მართალია, მონაწილეთა რაოდენობის მხრივ დღევანდელი ასპარეზობა ვერ დაიკვეხნის, (მასში მხოლოდ ბულგარეთის, თურქეთისა და რუსეთის ეკიპაჟები იასპარეზებენ), მაგრამ თოდაძემ პირობა მოგვცა, რომ მომავალში ვითარება გაუმჯობესდება. რაც შეეხება მასპინძლებს, ევროპის ჩემპიონატის ეტაპზე მთლიანობაში 18 ქართული ეკიპაჟი ჩაერთვება. მართალია, წინა ორ შეჯიბრებაზე პირველობა სტუმრებს რჩებოდათ, მაგრამ თოდაძე იმედოვნებს, რომ წელს ბევრად მეტი შანსია, რომ გამარჯვება ქართულმა ეკიპაჟებმაც მოიპოვონ. ამის თქმის საფუძველს გაუმჯობესებული, განახლებული ავტოპარკი იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ქართული და სხვა ეკიპაჟებიც "იბერკომპანის" საწვავით, "სილვერსტოუნის" საბურავებით და შეჯიბრების გენერალური სპონსორის "შევრონის" საცხით ქნება უზრუნველყოფილი. საკავშირო ქსელით ეკიპაჟების უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღო "ჯეოსელმა".

შეჯიბრების მონაწილეები სტარტს დღეს, 14:00 საათზე "ექსპო-ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრიდან აიღებენ, საიდანაც რუსთავის ავტოდრომისკენ გადაინაცვლებენ.

## კრივი

# სანდერსი ჯონსს და დიდ ჩხუბს ასცდა

პროფესიული კრივის დიდოსტატ როი ჯონს-უმცროსს სახელი და დიდება არასდროს აკლდა, მაგრამ, რაც მძიმე წონაში გადაბარგდა და პირველივე ბრძოლაში ჯონ რუისს რეტი დაასხა, საკრივო სამყარო მისით უფრო მოიხიბლა. გამოითქვა არაერთი ვარაუდიც, სხვადასხვა წონით კატეგორიებში მომთაბარეობისა და იქ მეტოქეთათვის მუსრის გავლების შემდეგ გამორიცხული არაა, როი ჯონსი იგივე წარმატებით დაერიოს მძიმეწონოსნებსაცო. აზარტში შესულებმა ჯონსისთვის შესაძლო მეტოქეთა სიებიც კი ჩამოწერეს. მართალია, მას შემდეგ, რაც ჯონსმა მასზე ზომა-წონით აღმატებულ ჯონ რუისს კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) საჩემპიონო ქამარი აართვა, განაცხადა, მძიმე წონაში ჩხუბი ერთჯერადი ამბავი იყოო, მაგრამ ფაქტია, დროთა განმავლობაში მადაზეც მოვიდა - როიმ დიდებთან კრივი მწადიაო. ცოტა ხნის წინათ კი როი ჯონსის სახელის ირგვლივ მეტად სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა.

ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით გაჟონილი ცნობით როი ჯონსი დოპინგის ხმარებაშია მხილებული. კერძოდ, 2000 წლის მაისში რიჩარდ ჰალთან ორთაბრძოლის შემდეგ ჯონსისგან სტეროიდზე აღებულმა ტესტმა დადებითი პასუხი უჩვენა, თუმცა შემდგომ ტესტირების პასუხი გააუქმეს. საქმე ისაა, რომ ინდიანას შტატში, სადაც ჯონსისა და ჰალის დაპირისპირება შედგა, არსებობს კანონი, რომელიც აღნიშნულ ტესტირებებს კრძალავს. აქედან გამომდინარე ტესტირების პასუხი უკანონოდ იქნა შეფასებული. ისე კი, აღნიშნ-


*ჯონსი "გაახსენდათ"*

ულ ფაქტთან დაკავშირებით ბევრი ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანი ინფორმაციებიც ვრცელდებოდა, მაგრამ უჩვეულო და უცნაური ის გახლავთ თუ რატომ გაახსენდათ მაინცდამაინც ახლა სამი წლის წინანდელი ფაქტი. ერთნი მიიჩნევენ, რომ როის ირგვლივ ატეხილი ხმაურიანი კამპანია ამ უკანასკნელზე ერთგვარ ზეწოლას ისახავს მიზნად. ანუ აჟიოტაჟის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება შემდეგი: როი ჯონსმა ცნობილი პრომოუტერის დონ კინგის ინტერესები არ გადაკვეთოს. ინტერესებში კი კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონ კორი სანდერსისა და ლემონ ბრიუსტერის სამომავლო ორთაბრძოლაა. და რა შუაშია აქ სანდერსისა და ბრიუსტერის სამომავლო დაპირისპირება? მივყვეთ თანმიმდევრობით.

ჯონსის შესაძლო მეტოქეთა სიაში არაერთი რჩეული მძიმეწონოსნის სახელი – ევანდერ ჰოლიფილდი, ლენოქს ლუისი, მაიკ ტაისონი ფიგურირებდა თუ დღესაც ფიგურირებს, მაგრამ... ჰოლიფილდმა მომდევნო მეტოქედ სხვა შეარჩია, ლუისმა - წლეულს რინგზე ჩემს ფეხს ვერ ნახავთო, ხოლო ტაისონთან მოლაპარაკებები დღესაც მიმდინარეობს. ახლა იმაზე თუ რა კავშირშია სანდერსი-ბრიუსტერის სამომავლო ჩხუბი ჯონსთან. ცოტა ხნის წინათ კრივის უცხოელმა ჟურნალისტებმა ჯონსისა და სანდერსის შესაძლო დაპირისპირება იყნოსეს. გავრცელებული ცნობით, ჯონსის პრომოუტერ მურად მუჰამადსა და ორგანიზაციის ჩემპიონ კორი სანდერსს მოლაპარაკებები წამოუწყიათ. სხვათა შორის ყოველივე ეს არც მუჰამადი ფარავს და არც სანდერსის მენეჯერი ვერნონ სმიტი. ბუნებრივია, მომხდარით უკმაყოფილონი არიან კრივის მსოფლიო ორგანიზაციის თავკაცები. WBO-ს პრეზიდენტი პაკო ველსარსელი მომხდარით გაოცებას ვერ ფარავს და სანდერსს სავალდებულო პრეტენდენტს ლემონ ბრიუსტერს ახსენებს. თუ მასთან ტიტულის დაცვა არ სურს, მაშინ ტიტულზეც უნდა თქვას უარიო.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ სანდერსმა როი ჯონსთან ჩხუბზე უარი თქვა.

"სამწუხაროა, რომ კორი სანდერსმა, რომელმაც ვლადიმირ კლიჩკო ისე გააბითურა, თითქოს ეს უკანასკნელი მოყვარული ყოფილიყოს, დიდი ბრძოლის შანსს არ აძლევენ", - გულნატკენი ჩანს სანდერსის მენეჯერი ვერნონ სმიტი.

მიზეზი იმისა თუ რატომ თქვა სანდერსის ბანაკმა როი ჯონსთან ჩხუბზე უარი, ეს უკანასკნელნი შემდეგნაირად ხსნიან. ანუ იმ შემთხვევაში თუ როი და კორი ერთმანეთს შეხვდებოდნენ ორგანიზაცია მათი ჩხუბის შედეგს მაინც არ სცნობდა, ამასთან, ყოველივე უარყოფით გავლენას იქონიებდა ფინანსურ მხარეზეცო.

სხვათა შორის, სანდერსი-ჯონსის შესაძლო ორთაბრძოლის მიმართ იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ამერიკული საკაბელო ტელევიზია HBO მხარეებს შორის მოლაპარაკებათა შედეგებს არც დაელოდა და ჩხუბის ტრანსლირების თარიღად 8 ნოემბერი დათქვა. რაც შეეხება თავად სანდერს, მას ტიტულის დამცავი ორთაბრძოლისთვის 45-დან 90 დღემდე ვადა მიეცა. მათი დაპირისპირება კი გერმანიაში, აშშ-ში, ან მის სამშობლოში - სამხრეთ აფრიკაში შედგება.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ როი ჯონსს ცოტა ხნით მაინც ისევ ქვედა წონაში ჩაბარგება მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, მანამ სანამ ხელი არ მოეწერება რომელიმე მძიმეწონოსან მეტოქესთან შესაძლო ჩხუბს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ სტივ მაკმანამანს და პედრო მუნიტისს შეუძლიათ ახალი კლუბი მოძებნონ. ორივე ფეხბურთელი იჯარის წესით გაიცემა. ფეხბურთელებში აღებული თანხით სამეფო კლუბი მცველის შეძენას აპირებს. სტივ მაკმანამანის შეძენით "მანჩესტერ სიტი" არის დაინტერესებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნმა" როი მაკაი ჟურნალისტებს ოფიციალურად წარუდგინა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა კი განაცხადა, რომ ჰოლანდიელი ფორვარდი ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე დევიდ ბექჰემი. ბავარიულ კლუბში მაკაის დებიუტი "ჰიურნბერგთან" ამხანაგურ შეხვედრაში შედგა, მაგრამ 70 წუთის განმავლობაში, რაც ფეხბურთელმა მინდორზე დაჰყო, არაფერი სასარგებლო არ გაუკეთებია. თუმცა, ეს გასაკვირი არ არის. მაკაის სამი თვე არ უთამაშია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" ახალმა მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა განაცხადა, რომ თავისი კლუბისგან სასწრაფო წარმატებას არ მოითხოვს. "შვიდი ფეხბურთელის შეძენა კარგი შედეგია. 31 აგვისტომდე რამდენიმე შენაძენს კიდევ გავაკეთებთ. თუმცა, ძნელი სავარაუდოა, რომ უკვე ამ სეზონში მივაღწევთ წარმატებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს შევიძენთ, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მაშინვე გუნდი გახდება. მათ შეთამაშებისთვის დრო სჭირდებათ" - განაცხადა აბრამოვიჩმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გახმაურებული შენაძენების ფონზე ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ მის გუნდში მხოლოდ ვარსკვლავები არ ითამაშებენ. არამედ თავის გამოჩენის შანსი "უბრალო მოკვდავებსაც" ექნებათ. ამჟამად გუნდში სინჯებზე იმყოფება "ბრედფორდ ტაუნის" 19 წლის ფორვარდი დრიუ რობერტსი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამასობაში "ჩელსი" აპირებს შეიძინოს მადრიდის "რეალის" ფრანგი ნახევარმცველი კლოდ მაკელელე. ინგლისელებმა ესპანელებს 10 მილიონი ევრო შესთავაზეს. მაკელელეს ხელფასი ორჯერ გაიზრდება (დაახლოებით სამი მილიონი ევრო წელიწადში). მოლაპარაკებები უახლოეს ხანში დაიწყება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა რომის "ლაციოსთან" კონტრაქტი გააგრძელა. ამასთან ლოპესი ხელფასის შეკვეცასაც დათანხმდა. "მე მადლიერი ვარ ამ გადაწყვეტილებისთვის. მან დაამტკიცა, რომ პატიოსანი ადამიანია" - განაცხადა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ. არგენტინელის ახალი კონტრაქტი ძალაში 2006 წლამდე იქნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისურმა "ბოლტონმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელ ჟარდელთან. გუშინ ბრაზილიელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა. ჟარდელი "ბოლტონში" "სპორტინგიდან" გადაბარგდა. ადრე კი "პორტუს" ღირსებას იცავდა, სადაც 146 შეხვედრაში 150 გოლი გაიტანა. ამასთან, რადგან ჟარდელს პორტუგალიური პასპორტი აქვს, მას ინგლისში სამუშაო ვიზის გაფორმება არ დასჭირდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა სკულპტორმა სიგომარ ბესერა და სილვამ საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა რონალდოს სკულპტურა. ბრინჯაოს "კიჭა" ამიერიდან დაამშვენებს ქალაქ ბენტუ-რიბეირუს ქუჩას, სადაც ფეხბურთელი გაიზარდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კარლ მელოუნს დედა გარდაეცვალა და მან სასწრაფოდ დატოვა აშშ-ის კალათბურთელთა ნაკრების სამწვრთნელო ბანაკი. გუნდი ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, შირლი მელოუნი გულის შეტევით გარდაიცვალა. არადა ჯანმრთელობას არ უჩიოდა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ როდის დაუბრუნდება კალათბურთელი შეკრებას. შესარჩევი ტურნირი კი პუერტო-რიკოში 20 აგვისტოს იწყება.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ათენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ავსტრალიის ნაკრებს უშიშროების საკუთარი სამსახური ეყოლება. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯონ კოუტსმა. განიხილავენ საკითხსაც იმის თაობაზე, რომ სპორტსმენებს აუკრძალონ ოლიმპიური სოფლის დატოვება. საბერძნეთის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხე არ არსებობს. თუმცა ამის მიუხედავად, ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტი თავისი დელეგაციის უშიშროებაზე ფიქრობს. შეგახსენებთ, რომ სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საკუთარი უშიშროების სამსახური 14 ქვეყნის წარმომადგენლებს ჰყავდათ. მათ შორის ავსტრალიასაც.

## პირველი მუსიკალური შოუ-ინტერაქტივი



დევიდ ბოუის შოუ მსოფლიოში პირველი ინტერაქტიული მუსიკალური შოუ იქნება. 9 სექტემბერს ცნობილი მუსიკოსი ლონდონში გამოვა. ამ კონცერტის ტრანსლაცია თანამგზავრის საშუალებით ევროპის 20 კინოდარბაზში იქნება ნაჩვენები. კონცერტის მსვლელობის დროს მაყურებელს ექნება შესაძლებლობა, თავისი საყვარელი კომპოზიცია შეუკვეთოს მუსიკოსს. დროის განსხვავების გამო ავსტრალიისა და აზიის მსმენელი კონცერტს მხოლოდ ერთი დღის შემდეგ იხილავს. აშშ-სა და კანადაში კი დევიდ ბოუის კონცერტის ჩანაწერი 15 სექტემბერს იქნება ნაჩვენები. კონცერტის ტრანსლაცია პირველი შემთხვევა არ არის, მუსიკის მოყვარულებს კარგად ეხსომებათ Beyonce Knowles-ის და ჯონ ბონ ჯოვის კონცერტები, მაგრამ მაშინ ინტერაქტივი არ ყოფილა და ტექნიკური ხარვეზებიც გაიპარა.

კონცერტის შემდეგ ბოუი მსოფლიო ტურნეს დაიწყებს, რომელიც მისი ახალი ალბომის - Reality-ს გამოსვლას მიეძღვნება. ტურნეს პირველი კონცერტი კოპენჰაგენში 8 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

## რუსი მწერალი ევროპის საუკეთესო ფანტასტი გახდა

ევროპელმა ფანტასტიკის მოყვარულებმა ევროპის საუკეთესო ფანტასტიკური ჟანრის მწერლად რუსი მწერალი სერგეი ლუკიანენკო დაასახელეს. ამ კონკურსის ორგანიზატორია ფანტასტიკის მოყვარულთა გაერთიანება Eurocon-ი, რომლის ინიციატივით ყოველწიურად იკრიბება ფანტასტიკის ათასობით მოყვარული ევროპის ოცამდე ქვეყნიდან. Eurocon-ის პრემია ლუკიანენკოს აგვისტოში გადასცეს, ეს წარმატება რუსული მწერლობისთვის დიდი მიღწევაა. Eurocon-ი თავისი მასშტაბებით მეორეა, ამერიკული WorldCon-ის შემდეგ. კონკურსი 1976 წელს დაარსდა, რუსი მწერლები კი მხოლოდ ერთხელ გახდნენ ამ პრემიის ლაურეატები, ეს იყო 1987 წელს, როცა მოყვარულებმა საუკეთესო ფანტასტებად ძმები სტრუგაცკები დაასახელეს.

## ყველაზე დიდი ჰონორარი

ახალზელანდიელი რეჟისორი პიტერ ჯექსონი, რომელმაც ტოლკიენის "ბეჭდების მბრძანებელი" გადაიღო, 20 მილიონ დოლარს მიიღებს "კინგ კონგის" რიმეიკისთვის. ეს იქნება ყველაზე დიდი ჰონორარი კინემატოგრაფის ისტორიაში. ჯექსონთან კონტრაქტი დადო კინოკომპანიამ Universal Studios. თავად რეჟისორი ამბობს, რომ ახალი სამუშაო მისი ბავშვობის ოცნების ასრულება იქნება, კინოსადმი მისი დიდი ინტერესი სწორედ "კინგ კონგმა" გამოიწვია, ჯექსონი ცხრა წლის იყო, ფილმის 1933 წლის ვერსია რომ ნახა.

პიტერ ჯექსონთან ხელშეკრულება "უნივერსალმა" პირველად 1997 წელს დადო (იმ პერიოდში რეჟისორი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი), მაგრამ გადაღებები არ დაწყებულა, ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ამ წელს უნდა გამოსულიყო ეკრანებზე ამ ტიპის ორი პოპულარული ფილმი: "გოძილა" და "ყოვლისშემძლე ჯო იანგი." ამჟამად რიმეიკის გადაღება უკვე გადაწყვეტილია. ჯექსონს დასრულებული აქვს "ბეჭდების მბრძანებლის" მესამე ნაწილზე მუშაობა და მშვიდად შეუდგება საქმეს. შედეგს 2005 წლის დეკემბერში ვიხილავთ. ვარაუდობენ, რომ რიმეიკისთვის რეჟისორი 1933 წლის ვერსიას აირჩევს, სწორედ იმ სურათს, რომელმაც ბავშვობაში მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ფილმში მოქმედების დროც 30-იანი წლები იქნება. კინოსურათის სცენათა დიდ ნაწილს ახალ ზელანდიაში გადაიღებენ.



# უკანასკნელი გმირი

### 13 წლის წინ გარდაიცვალა ვიქტორ ცოი

*"სიკვდილი ღირს იმად, რომ იცოცხლო, სიყვარული ღირს იმად, რომ იცადო."*

**ვიქტორ ცოი**

ანა კორძაია-სამადაშვილი



*ვიქტორ ცოი, საბჭოთა როკის გმირი*

ვიქტორ ცოი 1990 წლის 15 აგვისტოს გარდაიცვალა. დღეს, ცხადია, შეგვიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკოთ მისი ფენომენის შესახებ, მაგრამ საეჭვოა, რომ თავად ვიქტორს ეს დიდად გახარებოდა – ამბობენ, ძალიან მოკრძალებული ადამიანი იყოო. გარდა ამისა, თავად ის არასოდეს არავის განსჯიდა, და ჩვენც რა უფლება გვაქვს - უბრალოდ, გავიხსენოთ ის, ვინც "სალი გონებითა და მტკიცე მარჯვენით დარჩა მწკრივში".

საბჭოთა როკ-კულტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფენომენი ჯგუფი "კინო" იყო, ხოლო მისი ქარიზმატული ლიდერი – სიმღერების ავტორი, მომღერალი, გიტარისტი, მსახიობი და მხატვარი, ვიქტორ ცოი, მისივე სიმღერის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, როკის ოქროს ხანის უკანასკნელი გმირი გახდა.

ცოი 1962 წლის 21 ივნისს ლენინგრადში დაიბადა. დედამისი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, მამა – ინჟინერი. როგორც ჩანს, ვიქტორის ცხოვრებაში ისინი ნაკლებად ერეოდნენ. როცა ვიქტორმა წარმატებას მიაღწია, ჩათვალეს, რომ მუსიკა ნამდვილად მისი საქმე იყო, მაგრამ მანამდე ამ ამბით დიდად არ დაინტერესებულა და კონცერტებზეც სულ ერთი-ორჯერ ყოფილა.

მუსიკით გატაცება გიტარით დაიწყო. 14 წლის ვიქტორი სამხატვრო სასწავლებელში სწვლობდა, და ისევე, როგორც მისი ხნის ყველა ბიჭი, ისიც იმხანად ამ ძალიან პრესტიჟული ინსტრუმენტის დაუფლებას ცდილობდა. ნელ-ნელა მუსიკის სიყვარულმა სერიოზული სახე მიიღო, და თუმცა სრულიად უპერსპექტივო ჩანდა, ის ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ იქცა: ვიქტორმა ფერწერას თავი დაანება და მთლიანად სიმღერებს მიუძღვნა თავი.

მერე ლენინგრადში პანკები გამოჩნდნენ. ცოტანი იყვნენ, ოცდაათ კაცამდე, მაგრამ ენერგიული ხალხი იყო და ძალიან ხმაურობდნენ. გამომწვევად ეცვათ, ცუდად იქცეოდნენ, ჩხუბობდნენ, ყაყანებდნენ და საძაგლობებს მღეროდნენ – ნაგავსაყრელების, მკვდარი ვირთხების და იმის შესახებ, რომ "ბოროტის ყოფა ტკბილია". მათ სათანადო სახელებიც ერქვათ: პინოჩეტი, ღორი, ვირი. ამ საზოგადოებაში ყველაზე უცნაური არსება ცოი იყო, რომელსაც მათთან თითქოს არაფერი ესაქმებოდა – როგორც გაირკვა, ცოი მისი ნამდვილი გვარი იყო, და არა მეტსახელი, სულ შავი ტანსაცმელი ეცვა, სულ დუმდა და ხაზგასმით ღირსეულად ეჭირა თავი... და აი,



*ჯგუფი "კინო"*

1982 წელს "აკვარიუმის" ლიდერმა, ბორის გრებენშჩიკოვმა, მისი სიმღერები მოისმინა, მოეწონა და პირველი კასეტის ჩაწერაშიც დაეხმარა. მას მერე ცოის ჩანაწერები ხელიდან ხელში გადადიოდა და სულ მალე მთელს საბჭოთა კავშირს "მოედო".

ვიქტორ ცოის გარდაცვალების შემდეგ ახალი თაობა მოვიდა, რომელსაც მხოლოდ სმენია, რომ ასეთი ქვეყანა არსებობდა – საბჭოთა კავშირი. რამდენად მისაღებია მათთვის "უკანასკნელი გმირი"? რამდენად აღელვებთ მათ ის, რაც ცამეტი წლის წინათ უზარმაზარ სახელმწიფოში ასეთი აქტუალური თემა იყო – ცვლილებების მოთხოვნა? რამდენად მისაღებია მათთვის ისეთი კერპი, როგორიც ვიქტორ ცოი იყო?

ცნობილია, რომ როკ-გმირი რეგიონალურ თავისებურებებზე არაა დამოკიდებული. ის იდეალური ყოველდღიური ქცევის განსახიერებაა, რომელსაც ყოველი ადამიანი თვითონ ირჩევს, სხვების ჩარევის გარეშე. ჩვენს ოცნებებში სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ღმერთი. გმირი ისაა, ვისაც ვბაძავთ, მაგრამ მხოლოდ გარეგნული მიმბაძველობა არაა, როკ-გმირის ძირითადი პარამეტრი მაინც შინაგანია. ჯგუფისა თუ ცალკეული მუსიკოსის იდეოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დღესაც კი, როცა ვიზუალური მხარე თითქოს წინაა წამოწეული (ბრიტნი სპირსსაც კი თავის იდეოლოგია გააჩნია, ვილაცისთვის ალბათ არანაკლებ მიმზიდველი, ვიდრე მისი ყბადაღებული სექსუალურობაა).

რაც არ უნდა საძაგლად ჟღერდეს, ვიქტორ ცოის აღმასვლა სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო: მის შესახებ უამრავი დაუჯერებელი ამბის მოყოლა დაიწყეს, და საქმე იქამდე მივიდა, რომ პოპულარობის გრაფიკიც კი შეადგინეს. თუმცა მსგავსი "გამოკვლევების" გარეშეც ნათელია, რომ ვიქტორის პოპულარობამ უმაღლეს წერტილს 90-იან წლებში მიაღწია, როცა მუსიკოსი აღარ იყო.

1990-ში, მისი გარდაცვალების წელს, უკანასკნელი ალბომი გამოვიდა და "კინოც" დაიშალა. ყველა თაობის წარმომადგენელს მაშინ აუნაზღაურებელი დანაკლისის განცდა დაეუფლა, და თუკი ოთხმოციანი წლების ბოლოს "კინოს" და, ვთქვათ, "ალისას" პოპულარობის შედარება დასაშვები იყო, ვიქტორის გარდაცვალებამ ყველაფერი შეცვალა.

კავშირის მაშტაბით ცოის ფენომენს ალბომმა "სისხლის ჯგუფმა" ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ "სამაკორდიანი ქვეყანა" მისმა ხუთმა ალბომმა იმდენად ვერ შეძრა, რამდენადაც სოლოვიოვის ფილმ "ასსას" ბოლოში მისმა ხუთწუთიანმა გამოჩენამ. მაშინ იქედნურად აღნიშნეს, რომ სწორედ ცოი შეძლებდა ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი შოუ-ბიზნესის "გაქაჩვას" (რამაც ვიქტორს მრავალი პრობლემა გაუჩინა და მრავალი არაკეთილმოსურნე შეჰმატა). კრიტიკოსები მის სტილს "ვაჟკაცურ პოპს" უწოდებდნენ, წერდნენ, რომ მისი გამოსვლები "რევოლუციური დისკოთეკაა".

მაგრამ ძირითადი ხიბლი მაინც ვიქტორის სრული გულწრფელობა იყო, ის არ იმალებოდა და არ იპრანჭებოდა, იმას მღეროდა, რასაც გრძნობდა, არც ართულებდა და არც ამარტივებდა. ის ყოველთვის ახერხებდა ყველაზე გასაგები და ყველაზე სწორი სიტყვების თუ ინტონაციის პოვნას. ალბათ იმხანად მისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება – პოპ-მუსიკოსობა – სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ ის მაქსიმალურად გასაგები იყო. თუნდაც პრიმიტიული აპარატურა ჰქონოდა და მეტისმეტი პათეტიკა – ცოი არ იტყუებოდა, და ყოველი მსმენელი, პირველ რიგში, სწორედ ამას გრძნობს, მაშინაც კი, როცა სიტყვები არ ესმის. ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ მსმენელს თუ მაყურებელს სწორედ ეს სჭირდება, და ცოი დღემდე იძლევა ამას. ამიტომ თამამად შეგვიძლია გავცეთ პასუხი მის მიერ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიმღერაში დასმულ კითხვას: უკანასკნელ გმირს ქვის ხელები არ ემუქრება, ის კვლავაც ვარსკვლავად ანთია.

# საბრალო ლიზა!

### ახალი სკანდალი ელიზაბეტ ტეილორის გამო

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ბრძნული ინგლისური გამონათქვამი გვაფრთხილებს: "მებაღეს არასოდეს ეჩხუბოთ. მან იცის, სად დევს ნაკელი, და მასში ქექვაც არ აშინებს". ელიზაბეტ ტეილორმა ეს გამონათქვამი ან არ იცოდა, ან ყურად არ იღო, და სამაგიეროდ კიდევ ერთ სკანდალში გაეხვა.

მას შემდეგ, რაც დაბერებულმა (71 წლის) და ექსცენტრულმა კინოვარსკვლავმა თავის მებაღე ვილემ ვან მეიდენი და მისი მეუღლე დაითხოვა, მეუღლეებმა მას სასამართლოში უჩივლეს. მებაღეები ამტკიცებენ, რომ ტეილორს მათი ვალი აქვს – 300 ათასი დოლარი, რამდენიმე პროექტისათვის, რომლებიც მებაღეებმა მსახიობის ლოს ანჯელესურ კარ-მიდამოში განახორციელეს.

მაგრამ, ამას კიდევ რა უშავს. ნაკელში ქექვა სარჩელის შეტანით არ დამთავრებულა. მეიდენი ამტკიცებს, რომ ის დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. თურმე ლიზა ჰომოსექსუალისტებს მფარველობს, მეიდენი კი ასეთი არაა.

ჯერ სად ვართ. მეიდენი არამარტო ელიზაბეტ ტეილორს, არამედ მის კამერდინერს, 34 წლის ჟან-ლუკ ლაკომსაც უჩივის, ამტკიცებს, რომ ამ ჟანლუკმა მისი, მეიდენის, გაუპატიურება სცადა.

თითქოს უარესი რაღა უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ჩანს, მსახიობის მებაღეობასთან დაკავშირებული პროექტები დიდძალ ნაკელს საჭიროებდა, და ამიტომ მეიდენის შთაგონების წყაროც უშრეტი აღმოჩნდა. ამჟამად ის მთელს ლოს ანჯელესში ავრცელებს ჭორებს იმის შესახებ, თუ



*ელიზაბეტ ტეილორი*

რა ინტიმური საუბრები ჰქონდა ლაკომთან. ვითომდა კამერდინერი ჩიოდა, რომ თავისი ქალბატონის ბრძანებით "მძიმე სექსუალური მოვალეობები" ეკისრებოდა. მებაღემ კამერდინერს ვიაგრას მიღება ურჩია. კამერდინერმა მებაღეს დაუჯერა და მისმა სექსუალურმა ძალამ იმდენად მოიმატა, რომ მადლიერმა ტეილორმა მას ავტომანქანა BMW და 25 ათას დოლარად ღირებული საათი აჩუქა. მაგრამ, მებაღის თქმით, ჟან-ლუკი უმადური და უვარგისი გამოდგა, და ის თავის ქალბატონს "ბებერ მაწანწალას" უწოდებს. ყველა ეს ჭორი ელიზაბეტ ტეილორის კამერდინერის წინააღმდეგ შეტანილ სასამართლო სარჩელშიცაა ჩამოთვლილი.

"ბებერი მაწანწალას" ადვოკატი, ტომას ჰობერმანი აცხადებს, რომ მებაღის ორივე სარჩელი "სულ სიცრუეა, სიტყვა არაა მართალი". რაც შეეხება ვიაგროსან ჟან-ლუკს, ის ჯერჯერობით დუმს. საბრალო ლიზასთვის ესეც ხეირია, რადგან ინგლისელები იმასაც ამბობენ, "ნაკელის მქექავ მებაღეზე უარესი მხოლოდ მოლაყბე კამერდინერი თუ იქნებაო".

ამჟამად ჰოლივუდში იმას არჩევენ, რამდენ ხანს გასტანს BMW-სა და 25 ათას დოლარიან საათად ნაყიდი დუმილი.

## თბილისს ალა პუგაჩოვა ეწვევა



ცნობილი რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა თბილისს ოქტომბერში ეწვევა. პუგაჩოვას თბილისური ვოიაჟის ორგანიზატორია თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური. როგორც ამ სამსახურის უფროსი დავით ოქიტაშვილი ამბობს, პუგაჩოვა, სავარაუდოდ, "თბილისობის" დღესასწაულზე დაგეგმილ ბიძინა კვერნაძის "ვარსკვლავის" გახსნას დაესწრება.

რუსი მომღერალი თბილისში 4-5 დღე დარჩება და მხოლოდ ერთ კონცერტს გამართავს. ოქიტაშვილის თქმით, პუგაჩოვას კონცერტს წინასაარჩევნო მიზნები არ ექნება. მის ვიზიტს თბილისში ერთ-ერთი კერძო ბანკი დააფინანსებს. ჯერჯერობით უცნობია, რომელ საკონცერტო დარბაზში გაიმართება პუგაჩოვას კონცერტი. შეგახსენებთ, რომ ალა პუგაჩოვა თბილისს ხუთი წლის წინათ ეწვია და მის საღამოს მაშინ სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ***მედია-ნიუსი***

## რუსი მომღერლები სოხუმში

აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" დღის აღსანიშნავად სოხუმში სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრის ოპერის მომღერლების კონცერტი გაიმართება. კონცერტი 29 სექტემბერს ჩანბას სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარდება. კიდევ ერთი კონცერტია დეგეგმილი მოსკოველი მომღერლების მონაწილეობით ოქტომბრის დასაწყისში ბიჭვინთის ტაძარში. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ოპერის თეატრის სოლისტმა ხიბლა გერზმაამ განაცხადა. მომღერალი, რომელიც აფხაზეთში დასასვენებლად დაბრუნდა, სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ მიიღო. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მომღერალს გააცნო იმ ღონისძიებების ნუსხა, რომლის გამართვა იგეგემება "დამოუკიდებლობის" დღის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში. თავის მხრივ, ხიბლა გერზმაამ აღნიშნა, რომ თავის მეგობრებთან ერთად თეატრიდან, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად "სასიამოვნო სიურპრიზს" ამზადებს, თუმცა ეს სიურპრიზი საიდუმლოდ დარჩა. მისი თქმით, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრის მსახიობებმა სიამოვნებით მიიღეს მიწვევა აფხაზეთში. "რაც შემეხება პირადად მე, ყოველთვის სიამოვნებით გამოვდივარ სამშობლოში, მით უმეტეს ასეთ დღეს," - განაცხადა მან. შეხვედრას ესწრებოდა სოხუმის მთავრობის ვიცე-პრემიერი ვლადიმერ ზანთარია და კულტურის მინისტრი ლეონიდ ენიკი. ***კავკას-პრესი***

## ბრუს ლი - წიგნის გმირი

ტაივანელმა მსახიობმა, ლეგენდარული ბრუს ლის საყვარელმა ბეტი ტინ პეიმ გადაწყვიტა დაწეროს წიგნი, რომელიც ბრუსის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ეს განცხადება მან ჰონგ-კონგში გააკეთა. ბეტი ტინ პეი აპირებს გახსნას ის ინტრიგები და საიდუმლო, რომლითაც კუნ-ფუს ოსტატის დაღუპვის ისტორია არის მოცული.

33 წლის ბრუს ლი ტვინის პათოლოგიით გარდაიცვალა 1973 წლის 20 ივლისს ჰონგ-კონგში. ბრუსი ბეტის ბინაში იმყოფებოდა, როცა შეუძლოდ იგრძნო თავი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი მიიღო. წამლის დალევის შემდეგ ბრუსმა გონება დაკარგა. მსახიობი საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არ მოსულა.

ბრუს ლის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ უამრავი ჭორი აგორდა. იმასაც ამბობდნენ, თითქოს ბრუსი მაფიის მსხვერპლი გახდა. ლაპარაკობდნენ ჩინელების "წყევლაზეც", მსახიობმა ხომ ჩინური საბრძოლო ხელოვნების საიდუმლო გახსნა, როდესაც კუნ-ფუსა და კარატეს ასწავლიდა ამერიკაში. სხვათა შორის, მოგვიანებით მისი შვილის სიკვდილის მიზეზადაც წყევლის ვერსიას ასახელებდნენ. ბრუს ლის ვაჟი - მსახიობი ბრუს ლი-ბრენდონი ერთ-ერთი გადაღების დროს დაიღუპა.

ახლა 56 წლის ბეტი ტინ პეი ამბობს, რომ დაიღალა ბრუს ლის საიდუმლოს ტარებით და აპირებს ყველაფერი თქვას იმ ადამიანზე, რომელიც მისთვის ესოდენ ახლობელი იყო. წიგნი ინგლისურ ენაზე იქნება, მისი გამოქვეყნება სამუდამოდ დაუსვამს წერტილს



ყოველგვარ ეჭვსა და ჭორს.

ბეტი ტინ პეი პეკინში დაიბადა, მერე ტაივანში ცხოვრობდა, მოგვიანებით კი ჰონგ-კონგში გადასახლდა. აქედან დაიწყო მისი კინოკარიერა. ის 60-70-იანი წლების 40-მდე ფილმშია გადაღებული. 1973 წელს ბეტის და ბრუსს ფილმში ერთად უნდა ეთამაშათ, მაგრამ პროექტის რეალიზება ბრუსის უცაბედი სიკვდილის გამო ვერ მოხერხდა.

## TV პროგრამა
15 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "შავი ზეცა" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი "უცხო". მთ. რ-ში: სიგურნი უივერი, ტომ სკერიტი. **03.30** მხ.ფილმი "ამერიკული ნამცხვარი 2". მთ. რ-ში: ჯეისონ ბიგზი, სენონ ელიზაბეტი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "სიკვდილი ჰოლივუდში" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.15** მხ. ფილმი "მე შენ გკარგავ" **16.55** სერიალი "ძილის წინ" **17.15** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "ბენი ჰილი" **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** მაგთიტრონი **21.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.05** ხსოვნა (მურმან ლებანიძე) **22.45** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება?!" **00.00** მხ. ფილმი "ჯეინ ეარი".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** მულტფილმი "ლილო და სტიჩი" **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "მე სემი ვარ" მთ. რ-ში შონ პენი, მიშელ პფაიფერი. **02.15** "ღამურა" "კრახი". მთ. რ-ში მაიკლ ბინი, მეტ კრეივენი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** მხ. ფილმი "ჭიამაია" **21.00** საქართველო არის ესე **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი "ცხოველური ბუნება".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი" **13.30** მხ.ფილმი "ნიკი, ეშმაკი შვილი" **15.00** მხ.ფილმი "მუმია 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ინკოგნიტო" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" **22.30** მხ. ფილმი "ადამიანები შავებში"

### იბერია

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "უცხოელი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკჰოლი **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი "ჩიზამი" **02.10** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი

**09.30** სერიალი "ყრმა სახელად იესო" **10.20, 15.20, 16.20, 17.20, 19.50** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** მხ. სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.40** რუს. მხ. ფილმი "კიქსი" (ორეული) **14.15** "ტელემეტრი" (განმ.) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ქართული ფეხბურთი" **15.30** სერიალი "ღამის ექიმები" **16.30** დოკ. სერიალი "ჰაროლ ლოიდი" 1-ლი ნ. **17.50** სერიალი "ქავინქტონ კროსი" 1-ლი ს. **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.10** სერიალი "ღამის ექიმები" **22.00** "ღამის მატარებელი" (განმ.) **00.20** მხ. ფილმი "სრული 9 იარდი".

### იმედი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** სპ. პროგრამა "ასი" **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "სასიკვდილო რბოლა" **17.30** "მულამები" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "გოგონები ესპანეთის მოედნიდან" 1-ლი ს. **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **22.40** დოკ. ფილმი "იმედის ქალაქისკენ" **22.55** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **00.50** არტ-ფილმი "მდუმარების მიღმა".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი "ტომი და ტომასი" **10.55, 13.55** ვიდეოარტი **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.10** ვესტერნი "რაზმი" **14.00** მელოდრამა "დედინაცვალი" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი **17.35** კომედია "ჩუმად ბანებო" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.40** "Пресс-папье" **19.45** დოკუმენტური ფილმი **20.20** ვიდეოარტი **20.25** დეტექტივი "ორნი ქალაქში" **23.00** "ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი "მგლების ზონა" **02.30** დოკუმენტური ფილმი **03.20** მხატვრული ფილმი "ღამის ხუთვაში" **05.05** დოკუმენტური ფილმი.

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** კომპიუტერული ტექნიკა **10.10** მელოდია . **10.30** მობილურები **11.15** დისნეი და მისი მეგობრები **11.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.20** "მელოდია" **12.35** კომპიუტერული თამაშები **12.40** "მელოდია" **12.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.30** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **20.45** კომპიუტერული თამაშები **20.50** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **21.55** "კინოკლუბი " - "ველური ბანდა". ვესტერნი . რეჟისორი: სემ პეკინპა. როლებში- უილიამ ჰოლდენი, რობერტ რაიანი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-15 სერია **01.00** მობილურები **01.50** ანონსი.

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15** Сериал "Земля любви, земля надежды" **11.10** Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА" **12.05** "Сами с усами" **12.40** Сериал "Твинисы" **13.15** Худ.фильм "Куколка" **15.40** "Непутевые заметки" **16.15** Док.сериал "Дикие штучки" **16.40** Комедия "Приключения раввина Якова" **18.30** Док. детектив "Приходите меня убивать". **19.20** Человек и закон **19.50** Худ.фильм "Затерянный мир", 2 с. **20.55** "Поле чудес" **22.00** "Время" **22.30** "Золотой Граммофон" **23.35** Комедия "Полицейская академия. Город в осаде" **01.10** Комедия "Пятнадцатое августа" **02.55** Реальная музыка.

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45** Сериал "Каменская" **10.50** Сериал "Возвращение Будулая" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** "В поисках приключений" **13.50** Детектив "Марш Турецкого 2" **14.50, 17.30** "Вести. Дежурная часть" **15.30** "Моя семья" **16.30** "Комната смеха" **18.10** Сериал "Гражданин начальник" **19.05** Сериал "Линия защиты" **20.00** "Аншлаг" **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55** Праздничный концерт **23.30** Детектив "Энигма" **01.55** Худ.фильм "От заката до рассвета 2" **03.45** "Дорожный патруль" **04.05** Сериал "От Земли до Луны" **05.00** Мелодрама "Голливудские жены".

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **10.00** Золотой фонд НТВ. "Намедни-95" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Путешествия натуралиста" **12.00** "Квартирный вопрос: победа в интерьере" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35** Сериал "Крот" **15.40** "Криминал" **16.35** "Принцип "Домино". "Почем нынче свадьба?" **18.25** Сериал "Скорая помощь 3" **19.25** "Команда.ru" **20.35** Сериал "Улицы разбитых фонарей" **21.40** Детектив "Ключ к Ребекке", 1 с. **23.50** Супербокс. Оскар де ла Хойя против Мигеля Гонзалеса **00.45** Худ.фильм "Бесстрашные убийцы вампиров" **02.55** Сериал "Воры".

# უხილავი და ძალიან მნიშვნელოვანი

## ორიოდე სიტყვით საცვლების შესახებ

2003 წლის მოდური ტენდენციები, უპირველეს ყოვლისა, რომანტიკულია, და ეს იმასაც ეხება, რაც მეტ-ნაკლებად ტანსაცმლითაა დაფარული. ფრანგმა მოდელიორებმა მანდილოსნებს ახალი ფერები შეურჩიეს: ვერცხლისფერი, მარჯნისფერი, დაბინდული ვარდისფერი... ყველაფერ ამას ბაფთებიც დაუმატეთ და "ულტრაქალური" დეტალებიც: ატლასის ბოდი, რომელიც სხეულს მეორე კანივით ეკვრის, "რეტროს" სტილის აზღუდები, ყვავილებით მოჩითული და დაქარგული, გამჭვირვალე საცვლები, აზღუდები და ტოპები – ყველაფერი ეს ცოტა სასაცილოა, მაგრამ ძალიან სექსუალური.

არ დაფიქრებულხართ – რატომ იცვამენ ქალები საცვლებს? ათიდან ცხრა მანდილოსანი გიპასუხებთ: "იმისთვის, რომ თავდაჯერებულები და სექსუალურები ვიყოთ". ის, რომ ლამაზი საცვლები ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, ყველა ქალმა იცის. ერთი ციდა ქსოვილისთვის, ვთქვათ, აზღუდისთვის, ქალებს მეტის გადახდა შეუძლიათ, ვიდრე პრაქტიკული, ყოველდღიური ყოფის შესამსუბუქებელი საგნებისთვის.


კორსეტიანი და თავმომწონე


კლაუდია შიფერს აზღუდი არ სჭირდება

საცვლებს ჩვენი შორეული წინაპრებიც დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ. მართალია, იმხანად ისინი არც დიდად ლამაზი იყო და არც მომხიბვლელი, სამაგიეროდ, კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა – სხეულის ნაკლოვანებები უნდა დაეფარა. თან ისიც უნდა ითქვას, რომ პირად ჰიგიენასთან ამ ნივთებს არაფერი ჰქონდათ საერთო.

ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000-დან 2000 წლამდე ერთადერთი და მთავარი მოდური ტენდენცია შიშველი მკერდი იყო. ჰოდა, ძველ ეგვიპტეში ქალები კაბის ქვეშ თხელ, პერანგივით სამოსს იცვამდნენ ხოლმე, რომელსაც "ბრეტელები" ჰქონდა - მკერდს შიშველს ტოვებდა, მაგრამ მაღლა სწევდა.

ძველი საბერძნეთის ქალბატონების სპორტული აღნაგობა ამგვარი "საცვლის" აუცილებლობას თითქოს გამორიცხავდა, მაგრამ დღევანდელი აზღუდის წინაპარი სწორედ იქ გაჩნდა: ბერძენი ლამაზმანები მკერდქვეშ ტყავის ელასტიურ ქამრებს იკრავდნენ, რომლებიც მკერდს სწევდა და მის არსებობას ხაზს უსვამდა. რომაელი ქალები უფრო შორს წავიდნენ – ტყავის ქამრების სიგანე გაზარდეს და შესაკრავებიც გაუკეთეს, და ეს უკვე კორსეტის წინაპარი იყო. მისი ტარება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში დაუწყიათ.

დაახლოებით ასი წლის შემდეგ ტყავი ქსოვილის ფართო ნაჭრებმა შეცვალა. ამ გამოგონებას, მკერდის ლამაზად წარმოჩინების გარდა, კიდევ ერთი დანიშნულება ჰქონდა – მკერდის არასასურველ გაზრდასაც უშლიდა ხელს.

მართალია, ამგვარი თვითგვემა მხოლოდ მაღალი საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. სოფლელ ქალებს კორსეტი მუშაობასაც უშლიდა და ნერვებსაც. მაგრამ ქალისთვის, რომელსაც ჭაპანწყვეტა არ უწევდა, ის აუცილებელი აქსესუარი იყო, თან ცოტა საწამებელი საშუალებაც. სამაგიეროდ, კორსეტში გამოკრულ ქალს ისეთი წვრილი წელი, ისეთი მაცდური მკერდი ჰქონდა! ეკლესია, ცხადია, აღშფოთდა, და მე-17 საუკუნეში კარდინალმა მაზარინიმ ვერდიქტიც კი გამოსცა, ქალის ტუალეტის ამგვარი დეტალების დამზადების ამკრძალავი. ქალები ამან, ცხადია, ვერ შეაჩერა. ვინ აჩვენებდა მკაცრ კლერიკალებს, რომ პანტალონები დაქარგული ჰქონდა, აზღუდი – მაქმანიანი, კორსეტი კი – აბრეშუმის ბაფთებით გაწყობილი...

მიუხედავად იმისა, რომ სხეულის კორექცია დღესაც მრავალ ქალს გაუხარდებოდა, კორსეტებით თავს თითქმის აღარავინ იკლავს. თანამედროვე დიზაინერებმა აზღუდის უამრავი მოდელი გამოიგონეს, რომელთა დახმარებითაც მკერდის ფორმის გარეგნული შეცვლა უმარტივესი ამოცანა გახდა. ასე, დიდ და მძიმემკერდიანი ქალები ე.წ. "ანჟელიკას" ამჯობინებენ, პატარამკერდიანები – "ვანდერბრას". ამგვარად "აღჭურვილ" ქალბატონებს დიდად ვერც შეატყობთ, რა იმალება მაცდური დეკოლტეს მიღმა...














## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.